საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი-ოთხშაბათი, 6-7 ოქტომბერი. 2020 წ. №126-127 (9052-9053) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

„შეშლილი“ კავკასია

ილჰამ ალიევი: ჩვენი სამხედროები სომეხ ჯარისკაცებს ძაღლებივით მიერეკებიან...

ნიკოლ ფაშინიანი რუსეთის იმედზეა



4

საქართველოდან 70 კმ-ში სომხეთის ატომური ელექტროსადგურის დაბომბვის საშიშროება რეალურია, მინგეჩაური უკვე დაბომბილია!

ქართველ ხალხს ბიძინა ივანიშვილის ქველობას და სიკეთეს ვერავინ დაავიწყებს!

3

8

სააკაძემ, ოძელაშვილმა და მეჯღანუაშვილმა უკვე დააყენეს სისხლის ღვარი...

კასუნას სინდრომი

ავთანდილ არაბული: კორონამ ქართველს სამშობლო გაახსენა

5

იენს სტოლტენბერგმა შეშფოთება გამოთქვა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვის გამო. ამის

იენს სტოლტენბერგი:

მთიან ყარაბაღში შექმნილი ვითარება საფრთხის შემცველია რეგიონისთვის

შესახებ იენს სტოლტენბერგმა თურქეთში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში განაცხადა.

„ჩვენ ძალიან გვაშფოთებს ყარაბაღში შექმნილი ვითარება. ვხედავთ, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა იღუპება. ამ კონფლიქტს ყველა მიმართულებით შეუძლია, რისკები გამოიწვიოს, მათ შორის ენერგეტიკული მიმართულებით“, — განაცხადა იენს სტოლტენბერგმა.

ნატოს გენერალურმა მდივანმა ასევე აღნიშნა, რომ მთიან ყარაბაღში შექმნილი ვითარება საფრთხის შემცველია მთლიანად რეგიონისთვის, მათ შორის ნატოს წევრებისთვისაც.

„კონფლიქტის ყველა მხარეებს მოვუწოდებთ, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ საომარი მოქმედებები და მოლაპარაკებებს შეუდგნენ“!!!

რატომ არ ისარგებლა კომისიამ რუკით, სადაც ნათლად ჩანს, რომ უდაბნო საქართველოს ტერიტორიაზეა?

სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის ხელმძღვანელი მამუკა არეშიძე აცხადებს, რომ დავით გარეჯის სადავო ტერიტორიაზე მომუშავე ჯგუფს 2000-იანი მასშტაბის რუკით უნდა ეხელმძღვანელა.

ალნიშნული რუკა ნათლად აჩვენებს, რომ სადავო მონაკვეთები საქართველოს ტერიტორიაზეა.

„ის არის ზოგადი, რომლითაც იხელმძღვანელეს და იქ ბუნდოვნად ჩანს, უდაბნო სად არის განლაგებული და ამ 2000-ზე ჩანს ბევრად უფრო კონკრეტულად და ნათლად, რომ უდაბნო არის საქართველოს ტერიტორიაზე და, საერთოდ, ეს გარეჯის კომპლექსი ერთადერთი ობიექტის გარდა, რომელიც სამი კილომეტრის მოშორებით არის, დანარჩენი ყველაფერი არის საქართველოს ტერიტორია. ლოგიკა ამ მოვლენების განვითარებისა, მე მკარნახობს, რომ ყველაფერი ეს შეგნებულად არის გაკეთებული და კომისიის კომპეტენტურმა წევრმა, ვინც კარტოგრაფიაში ერკვევა და ვითარებას „აკონტროლებდა“, აურია დანარჩენ წევრებს ტვინი,“ — განაცხადა მამუკა არეშიძემ.

სალომე ზურაბიშვილი:

ბედნიერი ვარ, რომ თქვენი მმართველობის ხანაში, მაქვს პატივი, ვიყო საქართველოს პრეზიდენტი!..



„თქვენს ლოცვას დიდი ძალა აქვს, დღეს, როცა ჩვენი ორი მოძმე ქვეყანა ომობს და კავკასიის წმინდა მიწაზე კვლავ იღვრება ძმების სისხლი, თქვენი ლოცვა მშვიდობისთვის, მწამს, აგვაცილებს განსაცდელს და მოგვიტანს მშვიდობას“, — მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს გუშინ საპატრიარქოში უწმინდესისა და უნეტარესისათვის საპატიო დოქტორის (honoris causa) ხარისხის მინიჭების ცერემონიაზე.

პრეზიდენტმა პატრიარქის ღვაწლზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მის ხელში ხელახლა დაიბადა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია, როცა ის მსოფლიო ეკლესიების ოჯახის სრულუფლებიან წევრად აღდგა.

— მიხარია, რომ ვიმყოფები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-სათვის საპატიო დოქტორის (honoris causa) ხარისხის მინიჭების ცერემონიალზე და როგორც საქართველოს პრეზიდენტს საშუალება მეძლევა, მოკლედ ვისაუბრო ქართველი საზოგადოების სახელით მისი უწმინდესობის ღვაწლზე ჩვენი ქვეყნისა და ერის წინაშე. ისიც უნდა დავამატო, რომ ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, რომ ჯერ არ ჰქონდა უწმინდესს მიღებული საპატიო ხარისხი ჩვენი სემინარიის და აკადემიისა.

თქვენ შეძელით თქვენი დაუღალავი შრომით საქართველოში უამრავი ეკლესია-მონასტრების აშენება-აღორძინება და, პირველ რიგში, ჩვენს საზღვრებზე, რაც არის უდიდესი საქმე ჩვენი სახლემწიფოსთვის.

რელიგიური განათლება ხელმისაწვდომი გახადეთ საქართველოს თითქმის იმ დროს აბსოლუტურ ათეისტურ საზოგადოებაში, რაც გამოიხატა, პირველ რიგში, სასულიერო სემინარიის დაარსებით, რასაც მოჰყვა სხვადასხვა პროფილის საგანმანათლებლო დაწესებულებები და უნივერსიტეტი.

თქვენ შეძელით საქართველოს ეკლესიის წიაღში ქართული კულტურის შენარჩუნება და აღორძინება, იქნება ეს არქიტექტურა, მეღვინეობა, სოფლის მეურნეობის დარგები, ხელსაქმე, მონუმენტური მხატვრობა, გალობა, ხატწერა, მინანქრის ხელოვნება, ოქრომჭედლობა, ნაქარგობა და სხვა მრავალი.

დაუვიწყარია თქვენი გმირობა 2008 წლის ომის დროს, როცა თქვენი მისიის წინააღმდეგ მტერიც კი უძლური აღმოჩნდა და როგორც ჭეშმარიტმა მშობელმა და ჭირისუფალმა ოკუპირებული ზონიდან ჩამოასვენეთ და გააპატიოსნეთ ჩვენი დაღუპული გმირები.

დიდია თქვენი ღვაწლი ამ ბობოქარ წლებში შვილმკვდარი მშობლების ნუგეშისა და მათი ცხოვრებისთვის ახალი საზრისის მინიჭებაში.

თქვენ მფარველობთ ობოლ და უდედმამო ბავშვებს, ზრუნავთ მათ აღზრდასა და განათლებაზე, ზრუნავთ საქართველოს დემოგრაფიაზე.

თქვენს დამსახურებების ჩამონათვალს არა აქვს სასრული და ეს არის ნიმუში ნამდვილი მოღვაწეობის!

მე მიმაჩნია, რომ ჩვენი ეპოქის უდიდესი პიროვნება ბრძანდებით და ბედნიერი ვარ, რომ თქვენი მმართველობის ხანაში, მაქვს პატივი, ვიყო საქართველოს პრეზიდენტი.

გილოცავთ დღევანდელ დღეს და თქვენს დღეგრძელობას ვუსურვებ სრულიად საქართველოს“, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ კათოლიკოს-პატრიარქის ტახტის მოსაყდრე მეუფე შიო, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და მოწვეული სტუმრები.

პრემიერი სამართლიანად გვაფრთხილებს, რომ ჯანდაცვის სისტემის რესურსი ამოუწურავი არ არის!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია გვაფრთხილებს, რომ ჯანდაცვის სისტემის რესურსი ამოუწურავი არ არის.

„მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დღეს ამ გაზრდილი რაოდენობის და სწრაფი გავრცელების მართვასთან დაკავშირებით პრობლემები არ გვაქვს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჯანდაცვის სისტემის რესურსი არის შეუზღუდავი. ყველას კარგად უნდა ავუხსნათ, რომ ნებისმიერ რესურსს და პირველ რიგში, ჯანდაცვის სისტემის რესურსს აქვს თავისი შეზღუდვები, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ. შეზღუდვებს რომ თავი ავარიდოთ, უნდა დავიცვათ ელემენტარული მოთხოვნები — პირბადე, დისტანცია, ჰიგიენის ნორმები და ხანდაზმულ ადამიანებზე ზრუნვა, განსაკუთრებით აჭარაში. ჩვენ არ ვამბობთ არავისთვის, რომ დარჩით სახლში, მაგრამ ხანდაზმულ ადამიანებს რომ ვუთხრათ, რომ დარჩით სახლში, ახლა არის სწორი მომენტი ამისთვის“, — განაცხადა პრემიერმა.

ამასთან, როგორც მან უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე თქვა, მიუხედავად იმისა, რომ ვირუსის დაწყებიდან დაახლოებით 8 თვე გავიდა, თანამედროვე მსოფლიომ ახალი ვერაფერი შემოგვთავაზა ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში. ისევ პირბადე, ისევ დისტანცია, ისევ დიდი რაოდენობის არასაჭირო სოციალური თავშეყრებისგან თავის არიდება და ა.შ.

— ჩვენ როცა ვამბობთ, რომ ადაპტაციის და მართვის ეტაპზე ვართ, პირველ რიგში უნდა დავიცვათ ეს წესები. კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა, გითხრათ, რომ არავის ეგონოს, რომ ჯანდაცვის სისტემის რესურსი ამოუწურავია. არ არის ასე, ჯანდაცვის სისტემის რესურსი ამოწურვადია და ეს არის ყველაზე დიდი რისკი. ის წარმატება, რომელიც ჩვენ პირველი ტალღისას და პირველ ეტაპზე გვქონდა რომ გავიმეოროთ და აუცილებლად უნდა გავიმეოროთ, ამისთვის საჭიროა, რომ ამ სამმა კომპონენტმა იმუშაოს ერთად — მოქალაქემ, სახელმწიფომ და დაწესებულებებმა, ყველას ჰქონდეს გადანაწილებული შესაბამისი პასუხისმგებლობა და ყველა პასუხისმგებლობით მოეკიდოს ამას, იმიტომ, რომ ახლა რასაც ვხედავთ, ინფიცირებულების რაოდენობა მსოფლიოში კიდევ უფრო გაიზრდება და, როგორც ჩანს, კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ახლა დაუფიქრებლად რაღაც შეზღუდვები უნდა შემოვიღოთ. ამას არ ვაპირებთ, ასეთი აუცილებლობა არ არსებობს, ასეთი საჭიროებაც არ არსებობს, ვმართავთ და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეფექტური მართვის ის შედეგები, რომლებიც ჩვენ აქამდე გვქონდა, ეს უნდა გავაგრძელოთ და კიდევ უფრო მეტ ეფექტიანობაზე უნდა ვიფიქროთ, — განაცხადა პრემიერმა.

„ჩვენ ავაშენებთ ყველაზე სანიმუშო და ღირსეულ ქალაქს!“

მახათას მთაზე „ჯარის ქალაქის“ მშენებლობა დაიწყო. გუშინ ადგილზე სიმბოლური კაფსულა ჩადეს, ღონისძიებაში თავდაცვის მინისტრთან ერთად ის სამხედროები და მათი ოჯახის წევრები მონაწილეობდნენ, ვინც „არმი სითის“ მცხოვრები უნდა გახდეს. პროექტის მიხედვით, მშენებლობა 2022 წლის ბოლოს დასრულდება. მახათას მთაზე 7-სართულიანი 39 კორპუსი უნდა აშენდეს. სამხედროები 1092 ბინის შეძენას თეთრი კარკასის სახით შეღავათიანი პირობებით შეძლებენ.

თავდაცვის მინისტრის თქმით, „ჯარის ქალაქის“ მშენებლობა წელიწად-ნახევარში დასრულდება.

თბილისის იპოდრომი ცენტრალურ პარკად განალკოტდება



„დღეს ჩვენი დედაქალაქისთვის უმნიშვნელოვანესი დღეა“, – განაცხადა გუშინ კახა კალაძემ და ბიძინა ივანიშვილს მადლობა გადაუხადა...

ბიძინა ივანიშვილისა და „ქართუ ფონდის“ საკუთრებაში არსებული იპოდრომი სრულიად უსასყიდლოდ დედაქალაქს გადაეცემა და აღნიშნულ ტერიტორიაზე თანამედროვე პარკი გაშენდება. პარკის პროექტზე ჰოლანდიური კომპანია მუშაობს და მშენებლობა რამდენიმე ათეული მილიონი დაჯდება. დედაქალაქის მერის განმარტებით, პროექტის განხორციელებას დაახლოებით 3 წელი დასჭირდება.

დღევანდელი დღე თითოეული თბილისელისთვის, იმ ადამიანისთვის, რომელმაც იცის, იპოდრომის ტერიტორიასთან დაკავშირებული ისტორია და პირადად ჩემთვის ნამდვილად განსაკუთრებულია. იპოდრომის ტერიტორიის გადარჩენაში ფასდაუდებელია ფონდ „ქართუსა“ და პირადად ბიძინა ივანიშვილის წვლილი, რომელმაც აღნიშნული სივრცე გამოისყიდა, დღეს კი სრულიად უსასყიდლოდ, ქართველ ხალხს, თბილისსა და თბილისელებს გადასცემს. ამ მართლაც საშვილიშვილო საქმისა და მომავალი თაობების წინაშე გაწეული ღვაწლისთვის მსურს, პირადად მადლობა გადავუხადო ბიძინა ივანიშვილს, მის ოჯახს ამ მნიშვნელოვანი საჩუქრისთვის, სადაც გაკეთდება თანამედროვე უნიკალური პარკი, რომელიც აუცილებლად იქცევა თბილისელების უსაყვარლეს ადგილად. ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და მნიშვნელოვანი პროექტი ჩვენი ქალაქისთვის, რომლითაც ყველა, აქ მცხოვრები ადამიანი და ჩამოსული სტუმარი იამაყებს“, – განაცხადა კალაძემ.

* * *

ნიკოლოზ ჩხეტიანი: ბიძინა ივანიშვილისა და მისი ოჯახის გადაწყვეტილებით, ყოფილი იპოდრომის ტერიტორია საჩუქრად გადაეცემა მუნიციპალიტეტს, ფონდი „ქართუ“ ამ ტერიტორიაზე მოაწყობს მულტიფუნქციურ სარეკრეაციო ზონას.

– ყველასთვის ცნობილია, რომ ფონდი „ქართუ“ არის ყველაზე ძველი და ყველაზე მსხვილი საქველმოქმედო ორგანიზაცია საქართველოში. 25 წლის განმავლობაში ფონდს განხორციელებული აქვს სამ მილიარდ დოლარზე მეტი ოდენობის საქველმოქმედო პროექტი საქართველოში და ჩვენმა პროექტებმა მოიცვა ფაქტობრივად ყველა სფერო. ჩვენი მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გარემოს დაცვას. ამ მხრივ ჩვენ განხორციელებული გვაქვს ძალიან ბევრი პროექტი. წლების განმავლობაში ვზრუნავდით თბილისისა და ბათუმის ბოტანიკურ ბაღებზე. აღდგენილი გვაქვს ჩვენი დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების ინფრასტრუქტურა.

ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ცოტა ხნის წინ დასრულდა დენდროლოგიური პარკი შეკვეთილში, რაც, მისი თქმით, უნიკალურ პროექტს წარმოადგენს.

„როგორც მოგეხსენებათ, თბილისში მიმდინარეობს ურბანული ტყის აღდგენის პროექტი, რომელიც მოიცავს მთაწმინდის ფერდობსა და სხვა მიმდებარე ტერიტორიებს, რაც ძალიან მალე თბილისს გაუჩენს 700 ჰექტარი მოცულობის უნიკალურ ურბანულ ტყეს. დღეს კი ჩვენ აქ შევიკრიბეთ, რათა დავაანონსოთ უნიკალური პროექტი, რომლის ფარგლებშიც თბილისში გაჩნდება ახალი სარეკრეაციო სივრცე – თბილისის ცენტრალური პარკი. ბიძინა ივანიშვილისა და მისი ოჯახის გადაწყვეტილებით, ყოფილი იპოდრომის ტერიტორია საჩუქრად, უსასყიდლოდ გადაეცემა თბილისის მუნიციპალიტეტს და რაც მთავარია, ფონდი „ქართუ“ იღებს თავის თავზე ვალდებულებას, რომ უახლოეს პერიოდში მოაწყოს ამ ტერიტორიაზე ახალი მულტიფუნქციური სარეკრეაციო ზონა – თბილისის ცენტრალური პარკი. ყველანი ვთანხმდებით იმაზე, რომ თბილისს ჰაერივით სჭირდება ახალი სარეკრეაციო ზონები. თბილისს ამ მხრივ უჭირს. გაიზარდა თბილისის მოსახლეობა. ეს პარკი მისცემს შესაძლებლობას ყველა მოქალაქეს, როგორც თბილისელს, ასევე ჩამოსულ სტუმარს, რომ დაისვენოს და დატკბეს თბილისის ბუნებით. თბილისი ჩვენი სახლია და ჩვენ ყველანი ერთად უნდა ვზრუნავდეთ მასზე“, – განაცხადა ნიკოლოზ ჩხეტიანმა.

ქართველ ხალხს ბიძინა ივანიშვილის ქველობას და სიკეთეს ვერავინ დაავიწყებს!

საიდან ასეთი იდეა?

„ვიკიპედიაში“ სიტყვა „იდეა“ (ბერძნ.) ნიშნავს „სპეციკურ კონცეპციას, რომელიც ადამიანის გონებაში წარმოიქმნება ფიქრის შედეგად“.

მეტად საყურადღებოა, ვის გონებაში და ვისი ფიქრის შედეგად წარმოიშვა ეს „არაჩვეულებრივი“ იდეა, რომ საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდ ქველმოქმედს და ხალხში ყველაზე პოპულარულ პოლიტიკოსს, რომელმაც უკვე თქვა თავისი წონიანი ქმედითი სიტყვა ქვეყნის ისტორიაში, მას გამოუცხადო წესების გარეშე ბრძოლა, დაიწყო მისი სახელის გატეხა და ეცადო, აურიო ქართველ ხალხს გონება და მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყნის პარლამენტში მოხვდე. ნუთუ არავინ არ იყო უფრო ჭკვიანი ოპოზიციაში, ხალხისთვის მიეწოდებინა რაღაც უფრო ახალი, იდეოლოგიურად გამართული საარჩევნო პროგრამა და ეცადა, ასეთ ადამიანს პირადად არ შეხებოდა. ნუთუ ოპოზიციის ლიდერებმა ვერ დაინახეს და არ შერცხვათ, რომ ივანიშვილის პარტიის დამარცხებას არჩევნებში თურმე, სულ ცოტა 30 ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის გაერთიანება სჭირდება და მერე აღმოჩნდა, რომ თურმე ესეც არ შველის, რაც ქვეყანაში მხოლოდ არეულობის და ქაოსის მომტანი იქნებოდა.

თავის მხრივ, ასეთი დაბალპროცენტიანი პარტიების კოალიცია (ბლოკი) მიუთითებს იმაზე, რომ არცერთ ამ პარტიას ცალკე საკმარისი რესურსი არ გააჩნია, რომ რამე სახის წინააღმდეგობა გაუწიოს მმართველ პარტიას არჩევნების დროს, ხოლო ასეთი დაბალპროცენტიანი პარტიების მიერ ჩამოყალიბებული კოალიციური მთავრობა, რაღაც ამორფული წარმონაქმნი იქნება, რომელსაც არავითარი პოლიტიკური ფასი არა აქვს და ქვეყნისათვის ყოველმხრივ საზიანოა.

ქვეყანაში საარჩევნო კამპანიის დროს ივანიშვილის წინააღმდეგ მიმართული აგრესიული კრიტიკა საღ აზრს არის მოკლებული, რაც მთავარია, ხალხს არ ესმის, ვერ გააგებინეს, რა დააშავა, რა გააფუჭა ამ კაცმა, რომ მის წინააღმდეგ ასე აიფოფრნენ ეს პარტიები (თუ მრავალპარტიული პარლამენტი უნდათ, ვინ უშლის ხელს)?!. პასუხი ერთია: მათ იციან, რომ, სანამ ეს კაცი იქნება, გინდა ფორმალური, გინდა არაფორმარული მმართველი და ამ პარტიის ლიდერი, ისინი ვერასდროს ვერც ცალ-ცალკე და ვერც ერთად გაერთიანებული ვერასდროს ვერ მოვლენ ხელისუფლებაში, ხოლო ქვეყნის ბედი მათ ნამდვილად არ აგულისყურებთ, რაზედაც ისინი ასე გულმხურვალედ ლაპარაკობენ. ეს ამოცანა ქართველმა ხალხმა დიდი ხანია ამოხსნა, ამიტომ ოპოზიცია, სანამ სიმართლის თქმას და პოლიტიკური ბრძოლის სწორ წესებს არ ისწავლის, მარტო პოლიტიკური პარტიების არითმეტიკული გაერთიანება კი არა, სხვა მეზობელი ქვეყნების „პარტიებიც“, რომ დაიხმარონ, თუგინდ „დიდი უკრაინელოგიც“ რომ მოიწვიონ, ამ საქმეს ვერ მოერევიან, რამდენადაც ეს იდეა ივანიშვილთან დაკავშირებით ხალხის თვალში თავიდანვე არასწორი იყო, და იმ ადამიანების ნაფიქრალია, ვისაც ქვეყნის ბედი კი არა, თავისი ვიწრო ეგოისტური და პათოლოგიური შური და შურისძიება ამოძრავებს.

პოლიტიკური პარტია-ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია სახელმწიფოს პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოვებლად არჩევნების გზით, როგორც წესი, მიზნად ისახავს ხელისუფლებაში მოსვლას და საკუთარი სამოქმედო პროგრამის განხორციელებას. თანამედროვე დასავლურ დემოკრატიებში საარჩევნო ბრძოლა, ,ჩვეულებრივ, პოლიტიკურ პარტიებს შორის შეჯიბრის სახეს იღებს. პოლიტიკური პარტიები, როგორც ცნობილია, პირობითად იყოფა ოთხ კატეგორიად: საარჩევნო პარტიები, მუდმივმოქმედი პარტიები, ლიდერების პარტიები, იდეოლოგიური პარტიები. „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავის შინაარსით უფრო განეკუთვნება ლიდერ(ებ)ის პარტიას, რომელიც მორგებულია კონკრეტულ პიროვნებაზე, ლიდერზე და მისი პიროვნული ავტორიტეტი, ქარიზმა, ორატორული უნარი და საზოგადოებრივი ადგილი განსაზღვრავს პარტიის რეიტინგს.

ამიტომაც არჩევნების დროს პარტიების კონკურენტულ ბრძოლაში ასეთი ლიდერი ხშირად ოპოზიციის თავდასხმის საგანი ხდება. უფრო მეტიც, ბ-ნი ბიძინა ივანიშვილის სახელის გატეხის მიზნით ოპოზიციამ ქვეყანაში ცალკე ტელევიზიები შეიძინა და აწარმოებდა მის წინააღმდეგ ხანგრძლივ, აღვირახსნილ პროპაგანდას, ხშირად ცინიკურს და პიროვნების შეურაცხმყოფელს და, მიუხედავად ყოველივე ამისა, ხალხში მის რეიტინგზე ვერავითარი უარყოფითი გავლენა ვერ მოახდინა.

რადგან მისმა ოპოზიციონერმა ოპონენტებმა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი ვერ ან არ გაითვალისწინეს, რომ ასეთი უზნეო სტრატეგია ამ პიროვნების მიმართ, რომელსაც იგი ნამდვილად არ იმსახურებდა, ხალხის უმეტესობაში უარყოფით, უკურეაქციას იწვევდა, თუნდაც იმიტომ, რომ ივანიშვილს ამ ქვეყნისთვის კარგის მეტი არაფერი არ გაუკეთებია, ხოლო მის პიროვნულ ავტორიტეტთან ერთად, მის მიერ მრავალი წლის განმავლობაში ქვეყანაში განხორცელებული ქველმოქმედება და მასშტაბური ყოველმხრივ უანგარო დახმარება (რომლის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს), ქართველ ხალხს არ დაავიწყდა და სათანადოდ აფასებს!.

ბონდო ძოგულია,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საქართველოდან 70 კმ-ში სომხეთის ატომური ელექტროსადგურის დაბომბვის საშიშროება რეალურია, მინგეჩაური უკვე დაბომბილია!

აზერბაიჯანის მხრიდან სომხეთის ატომური ელექტროსადგურის დაბომბვის საფრთხე რეალურია. ატომური ელექტროსადგური საქართველოდან სულ რაღაც 70 კილომეტრშია, — აცხადებს სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი **ირაკლი ალადაშვილი**.

უფრო მეტიც, ალადაშვილის თქმით, შორსმოქმედი სარაკეტო სისტემების მართვის ცენტრები ხშირად გამოდიან მწყობრიდან და ადვილი შესაძლებელია, **სომხეთისკენ გასროლილი რაკეტა საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოვარდეს.**

სამხედრო ექსპერტის განცხადებით, მუქარა ატომური ელექტროსადგურის დამომბვის შესახებ, აზერბაიჯანის გენერლის მხრიდან, სომხეთის მისამართით ჯერ კიდევ ივლისში გაჟღერდა, ხოლო ამ მუქარის რეალობად ქცევის შემთხვევაში, ზარალი სომხეთთან ერთად საქართველოსა და თურქეთსაც მიადგება, აზერბაიჯანს — ნაკლებად, რადგან ატომური ელექტროსადგური მისი ტერიტორიიდან მოშორებით არის.

„აზერბაიჯანელი გენერლის მხრიდან სომეხ გენერალთან პაექრობისას ივლისში გავრცელდა ასეთი მუქარა: თუ დაგვიბომბავთ მინგეჩაურის წყალსაცავს, სამაგიეროდ, ჩვენ დაგიბომბავთ მეწამორის ატომურ ელექტროსადგურს.

საფრთხე არის!

მინგეჩაურის წყალსაცავი, სადაც მდებარეობს ჰიდროელექტროსადგური, უკვე დაბომბილია და გამორიცხული არაა, რომ აზერბაიჯანმა საპასუხო სარაკეტო დარტყმები განახორციელოს უშუალოდ სომხეთის ტერიტორიაზე.

თუმცა, ღმერთმა ნუ ქნას, რომ მოვლენები ასე განვითარდეს. ეს მუქარის განხორციელების შემთხვევაში, არა მარტო სომხეთს, არამედ მეზობელ საქართველოსა და თურქეთსაც, დიდი პრობლემები გაუჩნდება რადიაციასთან დაკავშირებით.

როგორც სამხედრო საკითხების მიმომხილველი აღწერს, მინგეჩაურის ტერიტორიის დამომბვამდე მოვლენები ამგვარად განვითარდა:

4 ოქტომბრის დილას დაიბომბა აზერბაიჯანის სიდიდით მეორე ქალაქი, განჯა, სადაც აფეთქდა „სმერჩის“ ტიპის 7 რაკეტა. სომხეთმა უარყო, რომ მისი ტერიტორიიდან მოხდა რაკეტების გაშვება. სამაგიეროდ, არაღიარებული ყარაბაღის ე. წ. პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ მისი ბრძანებით იქნა რაკეტები გაშვებული განჯას მიმართულებით.

ამ დროს აზერბაიჯანი, თავის მხრივ, ბომბავდა სტეფანაკერტს. ამის შემდეგ უკვე 5 ოქტომბერს, გამთენიისას, მინგეჩაურის წყალსაცავთან ელექტროსადგურის სიახლოვეს ჩამოვარდა „სმერჩის“ ტიპის 3 რაკეტა, ერთი აფეთქდა და 2 არ აფეთქდა, 5 ადამიანი დაიჭრა.

გარდა ამისა, მოხდა 2 ბალისტიკური რაკეტის გაშვება, რომელთა მოქმედების რადიუსი 300 კილომეტრია, მათგან ერთი ჩამოვარდა ერთ-ერთ აზერბაიჯანულ ქალაქში, მეორე უშუალოდ ბაქოს გარეუბანში. სომხეთი უარყოფს, რომ ეს რაკეტები მისი ტერიტორიიდან იყო გაშვებული.

„ეს შეიძლება, ასეცაა და ეს რაკეტები გაშვებულია არა სომხეთის ტერიტორიიდან, არამედ არაღიარებული ყარაბაღის ტერიტორიიდან, თუმცა მთიანი ყარაბაღის სამხედრო ძალებს ამ ტიპის შეიარაღება არც არასდროს ჰქონიათ. სამაგიეროდ, სომხეთში, ერევანში გამართულ არაერთ სამხედრო აღლუმზე სომხეთის არმია ახდენდა ამ სარაკეტო დანადგარების დემონსტრირებას“, — განმარტავს ალადაშვილი.

სამხედრო ანალიტიკოსი არ გამორიცხავს, რომ სიტუაციის ესკალაცია სომხეთს საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ქმედითი დახმარების მისაღებად სჭირდება.

„ამ ფაქტების გათვალისწინებით, გამოითქვა ვარაუდი, რომ სომხეთი ცდილობს, რომ აზერბაიჯანს საპასუხო სარეკეტო დარტყმა მიაყენებინოს, უშუალოდ სომხეთის ტერიტორიაზე, რათა შემდგომ რუსეთს და მინსკის ჯგუფის წევრ ქვეყნებს მოსთხოვს, რომ სამხედრო-პოლიტიკური დახმარება აღმოუჩინონ“, — აცხადებს ალადაშვილი. მთიან ყარაბაღში შეიარაღებული კონფლიქტი 27 სექტემბერს განახლდა და ამ დრომდე ინტენსიურად მიმდინარეობს.

ირინა მაკარიძე

„ჩვენი სამხედროები სომეხ ჯარისკაცებს ძაღლებივით მიერეკებიან“...

ილჰამ ალიევმა ყარაბაღში მიმდინარე საბრძოლო შეტაკებებთან დაკავშირებით საკუთარი მოსახლეობისათვის ვიდეომიმართვა გაავრცელა. იგი აცხადებს, რომ **აზერბაიჯანული არმია არ აპირებს, უარი თქვას საკუთარი ტერიტორიის დაბრუნებაზე.**

ალიევის თქმით, ფაშინიანი ყოველდღე ურეკავს მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ლიდერებს და დახმარებას სთხოვს. მან დარწმუნებით ისაუბრა იმ ფაქტზე, რომ ყარაბაღში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები სომხეთის პრემიერ-მინისტრის პროვოკაციული ქმედების გამოხატულებაა.

„არ დარჩა მსოფლიოში არც ერთი ლიდერი, რომლისთვისაც ფაშინიანს არ დაერეკოს, ყველას აგენტებს უგზავნის, ევედრება და მუხლებზე უჩოქებს. მისი ყოველი ნაბიჯი პროვოკაციული იყო. მისი ყოველი ნაბიჯი შეურაცხყოფა იყო და რა გგონია, ამას შევეგუებით? ახლა ჩვენ ვაჩვენებთ მათ, ვინ ვინ არის. ჩვენ მათ ძაღლებივით ვაძევებთ! აზერბაიჯანელი სამხედროები მათ ძაღლებივით მიერეკებიან! აზერბაიჯანის დროშა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ფრიალებს! მათი სამხედრო პოსტები ჩვენი დაქვემდებარების ქვეშაა! ჩვენ მათ იარაღებსა და ტანკებს დავეუფლეთ!“ — განაცხადა ილჰამ ალიევმა

* * *

აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის განცხადებით, **აზერბაიჯანის არმიამ ჯებრაილის რაიონში ცხრა სოფელზე დაამყარა კონტროლი.**

მოსახლეობისადმი მიმართვისას აზერბაიჯანის პრეზიდენტმა თქვა, რომ ამჟამად ახალი ისტორია იწერება, რადგან ისტორიული სამართლიანობის პროცესის აღდგენა ხდება. **„ამ რეგიონებს ცხოვრება დაუბრუნდება. აღდგება ჩვენი დასახლებების ისტორიული სახელები“,** — განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა.

ფაშინიანი რუსეთის იმედზეა

სომხეთის პრემიერ-მინისტრი დარწმუნებულია, რომ საჭიროების შემთხვევაში, რუსეთი სომხეთს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დაეხმარება. ვრცელი ინტერვიუ ნიკოლ ფაშინიანმა გერმანულ გამოცემა Bild-ს მისცა.

„რუსეთს სომხეთში 102-ე სამხედრო ბაზა ჰყავს განთავსებული. ჩვენ გვაქვს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ერთიანი სისტემა. ამ სისტემასთან დაკავშირებით არსებობს შეთანხმება, რომელშიც გაწერილია, რა შემთხვევაშია საჭირო მისი გამოყენება. ვიმედოვნებ, რომ რუსეთი შეასრულებს ამ ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებას, თუ ამის საჭიროება იქნება“, — აღნიშნა ფაშინიანმა.

იენს სტოლტენბერგმა და მევლუთ ჩავუშოღლუმ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის საკითხი განიხილეს

ნატოს **გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი მთიანი ყარბაღის კონფლიქტის მხარეებს საბრძოლო მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტისკენ მოუწოდებს,** — ამის შესახებ იენს სტოლტენბერგმა ანკარაში, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მევლუთ ჩავუშოღლუსთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

სტოლტენბერგის თქმით, ნატო შეშფოთებულია მთიან ყარაბაღსა და მის გარშემო მიმდინარე მოვლენების გამო. ნატო-ს გენერალურმა მდივანმა რეგიონში მნიშვნელოვან ენერგეტიკულ და სხვა ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს არის შეშფოთების ერთ-ერთი მიზეზი კონფლიქტის ესკალაციის დროს.

„ჩვენ უკიდურესად შეშფოთებულები ვართ მთიან ყარაბღში და მის გარშემო სიტუაციის გამო. ყურადღებით ვაკვირდებით მოვლენებს. რა თქმა უნდა, შეშფოთებულები ვართ, როდესაც საომარი მოქმედებების ესკალაციას, მეტ საბრძოლო მოქმედებებსა და ძალადობას ვხედავთ. ჩვენ ყველა ვიღებთ ცნობებს მსხვერპლის გაზრდილი რაოდენობის შესახებ, მათ შორის სამოქალაქო მოსახლეობას შორის.

რა თქმა უნდა, ყველა საბრძოლო მოქმედება წარმოადგენს რისკს მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურისთვის. ამიტომ, როდესაც თქვენ მეკითხებით, კრიტიკული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის შესახებ, ეს არის ძალადობრივ კონფლიქტთან დაკავშირებული ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც ჩვენს შეშფოთებას იწვევს. უკიდურესად მნიშვნელოვანია, გადავცეთ ძალიან მკაფიო გზავნილი ყველა ჩართულ მხარეს, რომ მათ დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტონ საბრძოლო მოქმედებები, რათა მხარი დავუჭიროთ მშვიდობიანი დარეგულირებისკენ მიმართულ ყველა ძალისხმევას, რადგან მთიან ყარაბაღსა და მის გარშემო სიტუაციის დარეგულირების სამხედრო გზა არ არსებობს. სწორედ ეს იყო ჩემი გზავნილი მას შემდეგ, რაც საბრძოლო მოქმედებები დაიწყო, რადგან ეს საშიშია კონფლიქტში ჩართული ყველა ადამიანისთვის, ასევე შემაშფოთებელია მთელი რეგიონისთვის და ნატოს ყველა მოკავშირისთვის“, — განაცხადა იენს სტოლტენბერგმა.

№ 126-127. სამშაბათი-ოთხშაბათი, 6-7 ოქტომბერი, 2020 წელი.

ავთანდილ არაბული:

კორონამ ქართველს სამშობლო გაახსენა

ალბათ, ბევრს პირადად განუცდია ასეთი რამ (თუ – არა, წარმოიდგენს მაინც): თავაწყვეტილი მასობრივი ცეკვის დროს მოულოდნელად მუსიკა რომ გამოირთვება და მოცეკვავეთაგან ზოგი მყისიერად ჩერდება რაღაც წერტილში, ზოგი კი ინერციით კიდევ აკეთებს რამდენიმე მოძრაობას... რაც მთავარია, თითოეული მონაწილე ერთი გაელვებით აღიძვრამს თავისი ფიზიკური (და – ფსიქიკური) მდგომარეობის აბსურდულობას!.. მაგრამ მზად არის, მეორე წამსვე მიეცეს იმავე თავდავიწყებას...

აი, ასე: თითქოს განგებამ ერთი მკაცრი ჟესტით შეგვაჩერა ეპოქის მძაფრ რიტმს გამობმული კაცობრიობა და ეჭვისა და შიშის ჩრდილი ნისლივით დააფინა ჩვენს გზადაკარგულ გონებას...

ერთმა მან იცის, რა გაგრძელება ექნება ამ ამბავს.

ის კი ფაქტია, რომ თითოეული ჩვენგანი საკუთარი ფიქრის პირისპირ აღმოჩნდა, რაც „კორონაზე“ არანაკლები განსაცდელია დღევანდელი ბიურგერისა თუ ფილისტერისთვის.

რაც მთავარია, ყველა ჩვენგანი ცდილობს, თავისებურად გაიაზროს ეს უახლესი მისტერია – ფილოსოფიური თუ პრაგმატული პასუხი უპოვოს მას.

1947 წელს, მწერლის გარდაცვალების შემდეგ, გამოქვეყნდა ალბერ კამიუს რომანი „შავი ჭირი“, რომელიც სამართლიანად იქნა გაგებული როგორც ფაშიზმის ალეგორია (ამას განაპირობებდა მწერლის ბიოგრაფიის დეტალებიც).

ამ ნაწარმოების მოქმედება ვითარდება ალჟირის ქალაქ ორანში (მინიშნება მომეცნიერო ელემენტებისთვის: ორანი გურულად „ჭაჭანებას“ ნიშნავს!), რომელსაც შავი ჭირის ეპიდემია მოედება და ეს სენი და, რაც მთავარია, მისი თანმხლები შიში ხდება ტოტალური მმართველი იმ სოციალური და პიროვნული პროცესებისა (ინსტინქტების გაღვივება, უიმედობის გაბატონება...), რომელიც ყველაზე მეტად ააშკარავებს ადამიანის ნამდვილ სახეს.

მაგრამ ეს საუბარი კამიუს მიერ შექმნილ მხატვრულ სინამდვილეზე სამსჯელოდ არ წამოგვიწყია. ამ შემთხვევაში ჩვენთვის არსებითია ის, რომ შავი ჭირის ეპიდემია აქ გარკვეული საზოგადოებრივი პროცესების ალეგორიად არის წარმოდგენილი.

ახლა საკითხავია: **შეგვიძლია თუ არა, რეალური ეპიდემია (პანდემია) წარმოვსახოთ არსებული ეპოქალური პროცესების ალეგორიად?**

დიახაც, შეიძლება, თუ წარმოვიდგენთ, რომ განგებამ – უდიდესმა რეჟისორმა – ჩვენთვის გაათამაშა კორონავირუსის პანდემია? როგორც გლობალიზაციის ალეგორია.

დიახ, ისე არაფერს ჰგავს ეს ტოტალური იდუმალი დაავადება, როგორც თავად გლობალიზაციას. როგორც იტყვიან – „მსგავსი მსგავსს შობს“!

საკითხავია, რით ჰგავს?

იმით, რომ არ ცნობს საზღვრებს, სახელმწიფოებს, არ არჩევს სქესს, ასაკს, ცენზს, მდგომარეობას, სარწმუნოებას, კულტურას...

და პირიქით – გლობალიზაციისავე მსგავსად: თითოეულ ამ საკაცობრიო „ნიშანს“ ურთიერთგანსხვავებული მდგრადობა აღმოაჩნდა ამ განსაცდელის მიმართ.

კიდევ ერთი ანალოგია: ჩვენი სიცოცხლის მცველი ბრწყინვალე ექიმები შიგადაშიგ მწარე სიმართლეს გვეტყვიან ხოლმე. სწორედ ასეთი სიმართლე გაგვიმხილა ბატონმა თენგიზ ცერცვაძემ: კორონასთან დიდი ხნით კოჰაბიტაცია მოგვიწევსო!

ეს კი იმას ნიშნავს, რომ უჩინარი თანამებრძოლი შემატებია ჩვენი ძვეყნის კოჰაბიტაციურ ნეგატივს – ნაცმოს, ჩვენ კი კიდევ ერთი მოუცილებელი ჭირი შეგვიძენია!..

გლობალიზაციის ზოგიერთი მოძულე (შინაგანად თუ თვალხილულად) აშკარა ოპტიმიზმს გამოხატავს, რომ ეს პანდემია რადიკალურად შეცვლის მსოფლიო წესრიგს და სათავეს დაუდებს გლობალიზაციის საპირისპირო პროცესებს.



ჩვენ რომ ოცნება ვიცით, ამ „ბროლის კოშკებიდან“ თუნდაც ერთი პროცენტი რომ განხორციელდებოდეს!..

ამ ილუზიას კვებავს ის, რომ გლობალიზაციის საყრდენმა სტრუქტურებმა ამ ბრძოლაში სერიოზული კრახი განიცადეს... და მრავალგან გაღვივდა თუ გაძლიერდა აზრი, რომ სხვისი („კოლექტიური“) იმედით ყოფნა მცდარია და ყველამ საკუთარ თავს უნდა მიხედოს!

არ დაიჯეროთ! – ეს ექსტრემალური ვითარების მოჩვენებითი აღქმაა, განწყობითი აბერაციაა, სასურველის რეალობად წარმოსახვაა.

სინამდვილეში მსოფლიო პანდემია კიდევ უფრო აძლიერებს გლობალიზაციას.

როგორ?

გლობალიზაციას უკვე აძვს ისეთი იარაღი, რომლის გაჩენის დროიდან ყოველი ექსტრემალური გამოწვევა მხოლოდ მის (გლობალიზაციის) წისქვილზე დაასხამს წყალს.

ეს იარაღი არის ინტერნეტი.

პროცესები ზემძლავრი გონებით განვითარდა:

გლობალიზაციამ საწყის ეტაპზე მოშალა ფიზიკური საზღვრები და ამ დროისთვის სამყარო პირობითად (თანაც – უპირობოდ!) გაიყო ორ „ბანაკად“ – ღია საზღვრების გაერთიანებად და დახურული საზღვრების სახელმწიფოებად. ამ ნიშნით „ომი“ დღემდე მიმდინარეობს...

მაგრამ მალევე – მეორე ეტაპზე – ტექნოლოგიურმა რევოლუციამ შექმნა უსაზღვრო საინფორმაციო და კულტურული სივრცე, რამაც უკვე პირობითი გახადა თვით ფიზიკური (მათ შორის – ჩაკეტილი ქვეყნების) საზღვრებიც კი!..

ამ დროისათვის ამ უკანასკნელმა სამყარომ სრულად აამოქმედა ერთადერთი (ყველაზე გამოცდილი) საპასუხო იარაღი – რელიგიური ფანატიზმი და ექსტრემიზმი...

კორონავირუსის პანდემიამ – გლობალიზაციის სასარგებლოდ – ეს უკანასკნელი ბასტიონიც კი მოარღვია (და უფრო მეტადაც მოარღვევს).

ამიტომაც ვამბობთ, რომ უკანასკნელი პანდემია კიდევ უფრო აძლიერებს გლობალიზაციას, რაკი მთლიანად გადავყავართ უსაზღვრო ვირტუალურ ცხოვრებაში.

აქამდე იყო გლობალიზაცია ადამიანებით, რომელთა მასა, მასობრივი გადაადგილება (დროებითი თუ მიგრაციული) სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა თავად გლობალიზაციის პოლიტიკას.

ახლა მივიღეთ გლობალიზაცია ადამიანების გარეშე, როდესაც სრულიად თავისუფალნი ვართ, მაგრამ ობიექტურად შეზღუდული გვაძვს თავისუფალი ნების განხორციელების შესაძლებლობა. ამ სამყაროში თავისუფალმა ადამიანმა დაკარგა თავისუფალი მოქმედების (შემოქმედების) პოტენციალი...

სხვათა შორის, ალბერ კამიუ იტყვის, რომ „ადამიანი დიდ უბედურებას ვერ ეთვისება, ამიტომ თავს ირწმუნებს, რომ უბედურება არარეალურია, ის ცუდი სიზმარია და ქარს გაჰყვება; მაგრამ ის ყოველთვის როდი ქრება; სამაგიეროდ, ამ სიზმრებში ქრებიან ადამიანები, უწინარესად – ჰუმანისტები“!

იმდენად დიდი უბედურება კონკრეტული პანდემია კი არ არის, არამედ ის რეალური და ირეალური შედეგები, რომელთაც ის მემკვიდრეობად გვიტოვებს.

ამ კრიზისიდან ჩვენ გამოვალთ უფრო მეტად (მაქსიმალურად) ინტერნეტდამოკიდებულნი, საკუთარ თავში, საკუთარ შიშებში ჩაკეტილნი, „ეგოს“ მწყემსნი და მსახურნი... უსაზღვრო (და – უსაზღვრებო) ვირტუალური, უკონტაქტო ცხოვრებით (ვირტუალური სამუშაო, ვირტუალური განათლება, ვირტუალური გართობა, ვირტუალური ტურიზმი, ვირტუალური გამრავლება...)!

ზოგიერთი რამ ამათგან, კაცმა რომ თქვას, მისასალმებელიც კია (მაგალითად, ვირტუალური ტურიზმი). მერე მოგებაო? – იკითხავთ. პასუხი: არ გაიყიდება საგზური? – გაიყიდება ვირტუალური მომსახურება!..

ასე რომ, არ არსებობს მოვლენა, რომელსაც გლობალიზაცია თავის სასარგებლოდ არ გამოიყენებს!..

ამ გლობალურმა კრიზისმა რამდენიმე პოზიტიური ნიშანიც გამოაჩინა. კერძოდ:

1. გლობალიზაციის თეორიაშიც და პრაქტიკაშიც გამოკვეთილად ჩანდა, რომ ის ყველაზე უფრო ხელაღებითა და თანამიმდევრობით ებრძოდა ისტორიულ (ეროვნულ) სახელმწიფოებს... თუ რატომ, ვფიქრობთ, ამას ახსნა არ სჭირდება.

ნიშანდობლივია, რომ ეროვნული სახელმწიფოები ყველაზე უფრო მედეგნი და ქმედითნი აღმოჩნდნენ ახლანდელი პანდემიის გლობალურ გამოწვევასთან ბრძოლაში (ამის ერთ-ერთ საჩვენებელ ნიმუშად წარმოჩნდა ჩვენი ქვეყანა, თავისი ადამიანური რესურსებით, თავისი მართალი სარწმუნოებითა და ეკლესიით). ეს, ერთი მხრივ, აშკარად წარმოაჩენს ეროვნული სახელმწიფოების იმუნურ გამძლეობას ეპიდემიურ მოვლენათა მიმართ, მეორე მხრივ კი – დამატებითი არგუმენტია გლობალიზაციისა და პანდემიის ღრმა ურთიერთკავშირის სამტკიცებლად.

2. დიადი მომენტია, როდესაც ადამიანში ადამიანი იღვიძებს! სამწუხაროდ, კაცობრიობის ისტორია აჩვენებს, რომ ეს დიადი მომენტი დგება მხოლოდ ექსტრემალურ გამოცდათა ჟამს (ისიც – გამონაკლის, გამორჩეულ შემთხვევებში). ხოლო მიღწეული სოციალურ-კულტურული დონის დაქვეითების ჟამს ადამიანი ასევე სწრაფად უბრუნდება პრიმატის არასახარბიელო დონეს. ცივილიზაციის კულტურული ეტაპები მას ინარჩუნებს მაღალი ზოოლოგიური არსებობის პირობებში, ოღონდ, როგორც ითქვა, ჭეშმარიტად ამაღლებული საფეხური განსაკუთრებულ გამოცდათა შედეგად მიიღწევა (და მათ ისტორია საგანგებოდ აღნუსხავს).

უკანასკნელმა პანდემიამ აჩვენა, რომ ადამიანი – როგორც ღვთის შვილი – ჯერ კიდევ არსებობს, რომ ის ჯერ კიდევ არ ძცეულა გლობალიზაციის ტოტალურ პროდუქტად.

3. რაც მთავარია, ქართველი – ეს საუკუნეებგამოვლილი უნიკალური ფენომენი – კვლავაც ცოცხალია და სიცოცხლისუნარიანი. მას „უცხოობაში სიამის“ ჟამსაც გონიერ გულში ჰქონია შენახული სამშობლოს ხატი და მისი, როგორც მიტოვებული მშობლის, უძლურებით მოდენილი ცრემლი დღემდე წმინდად შეუნახავს. თუმცა ყოფა ასე პოეტურად არ მეტყველებს და იქაც და აქაც ის ჯერ კიდევ მრავალ ბარიერს შეეჯახება, მაგრამ არსებითია, რომ ამ განსაცდელმა გააქარწყლა პირადად ჩემი ეჭვიც, რომ, თითქოს, ქართველმა ნოსტალგიის ნიჭი დაკარგა...

4. ადამიანს (ამაშიც უპირველესად ჩვენს ხალხს ვგულისხმობ) მწარედ გაახსენდა, რომ „ბუნება მბრძანებელია“ და ექსტრემალურად გამოფხიზლებულმა ხარბად ჩაისუნთქა, მართალია, ვირუსსაშიში, მაგრამ უჩვეულოდ გასუფთავებული ჰაერი... მან, როგორც მტანჯველ კოშმარში, დაჩლუნგებული გულისყურით იგრძნო მშობელი (ნაღალატარი) მიწის ძახილი და ცოდვილის სინანულით შეუდგა... ოცნების სოფლის შენებას...

ჩვენ რომ ოცნება ვიცით, ამ „ბროლის კოშკებიდან“ თუნდაც ერთი პროცენტი რომ განხორციელდებოდეს!..

იმავე გამაფრთხილებელ ინტონაციას დავუბრუნდეთ: ყოველივე ეს – სასიკეთო ნიშნებს ვგულისხმობთ – შექცევადია და უთუოდ გარდაუვალია, რომ, საშიშროების გაქრობისთანავე, კვლავ იგრიალებს ის გამორთული საცეკვაო მუსიკა და ადამიანი დაუყოვნებლივ დაუბრუნდება კაცობრიული თვითგანადგურების რიტმს...

ვინძლო, ქართველი ამ დაბრუნებაშიც ტრადიციულად მოგვიანე აღმოჩნდეს!

– რა დროიდან იქცა ლიტერატურა თქვენი ცხოვრების უპირველეს დანიშნულებად?

– თითქმის ბავშვობიდან. მე ძალიან ადრე დავიწყე წერა და ბეჭდვა. პირველი ლექსი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, 1909 წელს დავწერე, მაგრამ ჩემს პირად არქივში არის შენახული ჩემი დის, ევგენიას პატარა ალბომი, რომელშიც ჩამიწერია რაღაც პროზაული ლექსისებური ამონაკვნესი ილიას სიკვდილის გამო 1907 წელს. ე.ი. შვიდი წლისას უკვე მიგრძნია ტკივილი წიწამურის ტყვიისა. ერთი მხრივ, ეს გარემოება არც გასაკვირია. მამაჩემი ნიკო ლეონიძე იყო ლიტერატორი, გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელი, მწერლობით გატაცებული. ავტორი პატარა მოთხრობებისა. „ივერიის“ გარდა, იგი წერდა „დროებაში“, ივანე კერესელიძის „სასოფლო გაზეთის“, „ცისკრის“ აქტიური თანამშრომელი იყო. ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, რომ მამის არქივს ვერ მოვუარე, სხვისი არქივების ჭირისუფალმა. ასე, მაგალითად, მე მახსოვს მამისადმი კერესელიძის 10-12 წერილი, უპატრონობით რომ დაიღუპა. ასევე მახსოვს ბაჩანას და იოსებ დავითაშვილის წერილები მამასთან. მამა ადრე გარდამეცვალა. ერთი წლისა ვიყავი. დარჩა მისი მშვენიერი ბიბლიოთეკა. ეტყობა, ამ ბიბლიოთეკამ თავისი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში, ისიც უნდა დავუმატო, რომ დედაჩემი დიდი მოყვარული იყო მწერლობისა, ისე, როგორც დეიდაჩემი მაიკო მათიაშვილი და ჩემი მამიდები – მარიამ და ტასო ლეონიძეები, რომლებიც პატარ-პატარას მწერლობდნენ. სამივეს პატარა შენიშვნები დაბეჭდილი აქვთ გაზეთ „ივერიაში“. დეიდა მაიკოს დღიური გამოყენებული ჰქონია ერთ მოთხრობაში შიო არაგვისპირელს. მათ დიდი სიყვარული ჰქონდათ მწერლობისა. ამის ნიმუშად იმ ფაქტის მოყვანაც შეიძლება, რომ, როგორც ჩემს მშობლებს, ისე ჩემს დეიდას და მამიდებს, გაუღიათ თავიანთი შეწირულობანი ავადმყოფი ალექსანდრე ყაზბეგის სასარგებლოდ, რაც თავის დროზე გამოცხადებულა გაზეთ „ივერიაში“.

ბიძაჩემი ალექსანდრე ლეონიძე ახლო მეგობარი იყო ჩვენი ცნობილი მწერლებისა და მათთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. იგი წერდა ქართულ და რუსულ გაზეთებში, ხოლო ბიძები დედის მხრივ: ალექსი, შაქრო, იერემია გულისაშვილები ცნობილი არიან თავიანთი მწერლობით. ალექსის არაერთი ნარკვევი და არქეოლოგიური გამოკვლევა დაბეჭდილა „დროებასა“ და „ივერიაში“. სხვათა შორის, მან, როგორც დეკანოზმა, დამარხა ალექსანდრე ყაზბეგის დედა, ხოლო შაქრო ცნობილია როგორც ხალხოსანი ბელეტრისტი, იერემია – როგორც დრამატურგი. მისი პიესების წიგნი დაბეჭდილია 1895 წელს. რატომ გამიგრძელდა სიტყვა? იმიტომ, რომ ჩემს ოჯახში, ჩემს ახლო ნათესავთა ოჯახებში, ჩემს გარემოცვაში სუფევდა ლიტერატურული ატმოსფერო და იქიდან, ალბათ, მეც გადამედო მწერლობის სიყვარული, რომ ასე ადრე დავიწყე მწერლობა. ყოველ შემთხვევაში მე ასე ვფიქრობ.

– რა თავისებურება გახასიათებთ წერის დროს?

– ვწერ თეთრ უხაზო ქაღალდზე. ხაზიან ქაღალდზე ლექსის წერა არ შემიძლია, უმეტესად ვწერ კალმით, მოწაფის კალმით. ვერ ვიტან მწვანე ალიზარინის მელანს და ამ მელნით არც ერთი სტრიქონი არ დამიწერია. ფანქრით ვწერ იშვიათად, მხოლოდ ექსპრომტები თუ მექნება დაწერილი.

– რა მიგაჩნიათ მწერლის შრომისთვის კარგი პირობები?

– უპირველესად თავისუფლება, წერის დროს მყუდროება, საკუთარი ოთახი, კარგი გუნება და ასევე კარგი ქაღალდი.

– გაქვთ თუ არა რეჟიმით განსაზღვრული სამუშაო დრო და როდის წერთ?

– არავითარი რეჟიმი არ გამაჩნია, როცა განწყობაზე ვარ, მაშინ ვწერ. წერით უმეტესად ღამით ვწერ, როცა მოცლილი ვარ საზოგადოებრივი და სამსახურის საქმიანობიდან. ჩემი მუშაობის საათებია უმეტესად ღამის პირველიდან 4 საათამდე. ახალგაზრდობაში ბევრჯერ ღამე გამითენებია, მაგრამ ახლა ექიმები მიშლიან და ვერიდები.

– განიცდით თუ არა თანაგრძნობას თქვენი მოთხრობების პერსონაჟების მიმართ და, კერძოდ, რომლებისადმი?

– მე შემთხვევით დავწერე პატარა მოთხრობა-ნოველების წიგნი „ნატვრის ხე“, მაგრამ, რაკი მეკითხებით, ამ მოთხრობის ყველა გმირი მიყვარს, განსაკუთრებით ღვინჯუა. ამ მოთხრობაში ჩემი ავტოგრაფიული შტრიხებიც არის მოცემული.

– ხომ არ ფიქრობთ რომანის დაწერას და თუ ფიქრობთ, რა თემაზე?

– რომანს დიდი დრო უნდა, რაც მე არ გამაჩნია. „ნატვრის ხის“ წერის დროს, რომელიც დავწერე წყნეთის აივანზე ორ თვეში, აღზნებულმა დავიწყე რომანის წერაც. ორსამ ფორმაზე მეტი მაქვს დაწერილი, მაგრამ მერე თავი მივანებე. ჯერ იმისთვის, რომ არა მაქვს იმედი, გავუძღვე მას იმ დიდი მასშტაბით და პასუხისმგებლობით, რაც მე მქონდა განსაზღვრული. დრო, რომანს რომ დასჭირდებოდა, მრავალ საზოგადოებრივ საქმიანობაში გართულს, არ მაბადია.

– თქვენი ლექსებიდან რომელი გიყვართ ყველაზე მეტად?

– ძნელია თქმა. უფრო კი სიჭაბუკის დროისა, რადგან, როგორც ერთ ადრინდელ ლექსში მაქვს ნათქვამი, „სიჭაბუკე და ლექსი ერთია, ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი“.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №115-117, 118-119

– გაქვთ თუ არა გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები?

– მაქვს დაუბეჭდავი მრავლად ლირიკული ლექსი და ორი პოემა „ფიროსმანი“ და „შიო მღვიმელი“. ასევე გამოკვლევები, როგორიც არის „ანთიმოზ ივერიელი“, ცნობილი ქართველი მოღვაწე რუმინეთში მე-17 საუკუნეში. ნაშრომი ცნობილი ჰიმნის „აღსდექ, გმირთ გმიროს“ შესახებ, ასევე „XVII საუკუნის ქართველი დიპლომატი პოლონეთში“ და ზოგი კიდევ სხვა რამ და აგრეთვე ჩემი მეცნიერული მასალები „ნამცვრევი“, რომლის ორი თავი ორი-სამი წლის წინათ დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“...

როგორც რომ დიდად განსწავლულს, თავის სამეცნიერო ნაშრომთა წინარე გოგლას სრული უფლება ჰქონდა, ხმამაღლა განემეორებინა ერთი ძველთუძველესი წინაპრის ნათქვამი – „ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნთა ზედაო“.

როცა საჭირო იყო, გოგლა უმალ ექომაგებოდა, ესარჩლებოდა ამა თუ იმ ახალგაზრდა ავტორს. მეტადრე თუ ის ცხოვრების გარეპირზე არ ტრიალებდა და ზეშეფასებებს არ აფრქვევდა გაუაზრებლად. იმ წელს ახალი გამოცემული იყო ერთი ფრიად თავდაუდებელი მშრომელი ავტორის აკაკი გელოვანის **„მითოლოგიური ლექსიკონი“**, რომელსაც წარამარა თავს ესხმოდნენ და განაქიქებდნენ. ინსტიტუტში ერთ-ერთი გამოსვლისას გოგლა განსაკუთრებით შეჩერდა ამ ლექსიკონზე, ჯერ ეს ერთიო, რა გინდათ, რას ერჩით, ამ სახის ლექსიკონებით განებივრებულნი არა ვართო, პირველი შემთხვევაააო, მეორეც, ისეთი რედაქტორი ჰყავს ლევან სანიკიძე, იმას არაფერი არ შეეშლებოდაო. თანაც უამრავი ქართული მითოლოგიური მასალაა შეტანილიო. გოგლას ამ შეფასებამ პირდაპირ ფრთები შეასხა აკაკის. ასევე გოგლამ ერთ-ერთმა პირველმა შეამჩნია უთუოდ კარგი პოეტი თამარ ერისთავი და შეუქო ბერნსის თარგმანები. მუღამი უპოვნაო. **„კაცი ვარ და ქუდი მხურავსო“**, როგორიაო?! მე ახალგაზრდებისგან ძალიან ბევრს რასმე ვსწავლობო, იტყოდა ხოლმე, მეტადრე ენასო, რამეთუ მწერალი უპირველეს ყოვლის დიახაც ენააო. ვისაც ენა არ უვარგა, ესე იგი, ენას აუპატიურებს, მწერლობას ნუ იჩემებსო. მარტო შინაარსით, ანუ სიუჟეტით კალამი უძლურიაო. კალამი უწინარესად ენისთვის არის გაჩენილი, როგორც თოფი ნადირისთვის, თოხი მიწისთვის და ნამგალი ყანისთვისო... და ჩამოაწალიკებდა ხოლმე თავის „მასწავლებელ“ ახალგაზრდებს: რევაზ ინანიშვილს, გოდერძი ჩოხელს, კარლო კობერიძეს, მერაბ ელიოზიშვილს, სოლომონ დემურხანაშვილს, გიორგი ხორგუაშვილს, ნუგზარ შატაიძეს. ამ უკანასკნელთ განსაკუთრებით ქართლის ცოდნას უქებდა, თავიანთ კუთხეს ასულდგმულებენო...

ერთხელ, „საბას“ წაკითხვის შემდეგ, ღრმად ჩაფიქრებულმა გოგლამ ოდნავ თავის ქნევით, თითქოს ვიღაცას რაღაც უჩვეულო სიახლის, ნარუქის გამო ეთანხმებაო, მუხრან მაჭავარიანზე თქვა, ამ ბიჭმა ჩვენი სამწერლო ოჯახის კარი შემოგლიჯაო და წინა რიგში მსხომთაგან ჯახუნის ხმაზე ერთ-ერთი მსწრაფლ წამომდგარის თავისუფალ სკამზე გაბედულად დაჯდაო... გოგლას, მგონი, ოდესღაც მსგავსი შემთხვევის გამო ბერნარდ შოუს ნათქვამივით გამოუვიდა.

ჩემდა გასაკვირად, ბატონ გიორგის წაეკითხა ბორის გურგულიას ლექსები და ერთ-ერთი შეხვედრისას ბორისი შეაქო, თუ აფხაზურადაც ასე ჟღერს მაგის ლექსი, ეგ ახლაც კარგი პოეტი ყოფილა და ხვალ კიდევ ბევრად უკეთესი დადგებაო. გახარებულმა ბორისსაც ვახარე გოგლას ქება და ახალგაზრდა კაცისთვის გიორგი ლეონიძის შექება განა ცოტა რასმე ნიშნავდა?! მერე, ბორისის თხოვნით შევახვედრე კიდეც იგი და ბატონი გიორგი. კარგა ხანს ისაუბრეს. გოგლა მამა-შვილ გულიებზე ელაპარაკა, დიმიტრის ახლოს ვიცნობდიო, იმ დროიდან, როცა ჩვენს უნივერსიტეტში აფხაზურ ენას ასწავლიდაო. ქართული აფხაზურივით იცოდაო. კარგია, რომ შენც თბილისში სწავლობ და, ჩანს, ქართული აფხაზურივით იცი. როგორც მწერალს, ნამდვილად ვაფასებ გიორგისაც (დიმიტრის შვილზე თქვა), მაგრამ მართალი გითხრა, არ მომწონს, რომ რუსულად წერს და რუსი მწერალი ჰქვიაო. მით უმეტეს, დიმიტრის შვილს აფხაზურ ენაზე უარი რატომ უნდა ეთქვაო?! ჩვენი სისხლხორცეული სიახლოვე იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ გულიები ქართველებიც არიან და აფხაზებიცო. ისევე როგორც გურგულიებიო... ილაპარაკეს აგრეთვე აბრსკილსა და ამირანზეც. ამ შეხვედრამ ნამდვილად ფრთები შეასხა ბორისს, რომელმაც მალევე გიორგი ლეონიძის რამდენიმე ლექსი (**„ყივჩაღის პაემანი“, „არ დაიდარდო, დედაო“**) გადააფხაზურა. თარგმნა აგრეთვე ჩემი **„სვანური ბალადები“.** იმ ზაფხულს ბორისმა რამდენიმე მეგობარი თავის სოფელში წაგვიყვანა სტუმრად. ამაყობდა, რომ ლასურიას თანასოფლელი ვარო. ლასურია მთელ აფხაზეთში ფართოდ აღიარებულ პოეტად იყო ცნობილი, მერე, უკვე ამ საუკუნეში, ისე მოხდა, რომ ბორისი მოსკოვში სწავლობდა, მგონი, პარტიულ კურსებზე და მოულოდნელად გარდაიცვალა. ნეკროლოგი მე და გენო კალანდიამ დავწერეთ...

ძველი დღიურიდან: განსაკუთრებით ესულფონებოდა თამაზ ჩხენკელის ძველი ჩინელი ლირიკოსი ლიბო. ამ ერთმა პოეტმა მთელი ჩინეთი შემაყვარაო. რაღა ძველი ჩინური კედელი და რაღა ძველი ჩინური პოეზიაო, რომელიც იმ ჩინურ კედელზე მეტი თუ არა, არანაკლები საოცრებააო. თამაზმა მუღამი გაუგოო, ალბათ, ჩვენი ენის მადლიც არისო... გოგლასგან პირველად გავიგონე ჩინელი მხატვრის ცი ბაი შის სახელიც. ერთი ფუნჯის მოსმით მთელ ხასიათს ქმნისო. ალბათ, მოვა ისეთი დრო, როცა ძველი ჩინური ცივილიზაცია მრავალი ათასწლეულით გაუსწრებს ძველ ბერძნულ ცივილიზაციასო... გოგლას მოგზაურობა არ უყვარს, თითქმის არც მოგზაურობს, მაგრამ სულ იცის, მთელ მსოფლიოში კულტურის თვალსაზრისით რაც ხდება. ცოცხალი ენციკლოპედიაა.



გურამ გოგიაშვილი

ჩემი გიორგი ლეონიძე,

ვინც ქართული ენის ნაყოფიერ ხოდაბუნში, როგორც გულთმისანმა გუთნისდედამ, მარადიული ღალიანი ორნატი გათელა

ერთ-ერთ ძველ რვეულში ჩამიწერია, თუმცა ისედაც არ მიგულმავიწყია, რომ ეთერ თათარაიძის თუშური ყაიდის ლექსები, გამოქვეყნებული „ლიტერატურულ გაზეთში“, კბილქვეშ მოიქცია ტარიელ კვანჭილაშვილმა, იმ დროის სახელიანმა ლიტერატორმა, პროფესორმა, ნამეტანი ათუშურებს, იმდენად, რომ მკითხველისთვის გაუგებარი ხდებაო, რაც მთლად სწორი არ იყო, და აკი ამიტომაც ერთ-ერთი შეხვედრისას გიორგი ლეონიძემ საყვედური უთხრა, არა ხარ მართალი, ტარიელო, თუშური ქართული ენის ერთი უძველესი კილოკავია და განა ცოტა საქმეა ეთერის პოეზიაში ამ უძველესი კილოკავის შენარჩუნებაო? თანაც კიდევ ხალასი პოეზიაააო. ამ შემთხვევაში შენ იპოლიტეს დაემსგავსე, ვართაგავას, რომელმაც ვაჟას ფშაური კილო დაუწუნა სრულიად უსამართლოდო...

ძველი დღიურიდან: მე და რეზო ინანიშვილი საუბრით გავყევით მელიქიშვილის ქუჩას. რეზო უეჭველად სწორი გზით მიმავალი მწერალია. ასეთი რამ თქვა: მწერლები მნათეებს ჰგვანანო. დიდი ლიტერატურა ყოველთვის კლასიკური კალაპოტით მიედინება და ბალზაკის, ილიას, გოლსუორთის, ზოლას გზით მიდისო. მე და რეზო შევთანხმდით, რომ ისლანდიელი ლაქსნესი ჰემინგუეიზე ბევრად დიდია, რომ ლიტერატურა ნელ-ნელა ასუფთავებს ჩვენს დედამიწას და სადღაც შორს, ჩვენი პლანეტიდან უსასრულობაში ყრის ნაგავს (8. XII, 1956 წ.)

ძველი დღიურიდან: ახლახან, უკვე გოგლას გარდაცვალების შემდეგ, გამოქვეყნდა არჩილ სულაკაურის ლექსი **„მიმინო“**, რომელიც ლეონიძის სულთან შეხმიანების გამოძახილია. აშკარად შედევრია. ასეთი ძლიერი სტრიქონები, მუზის ასეთი ძლიერი თავგამომჟღავნება ნამდვილად არ მეგულება. დასანანია, რომ თვითონ გოგლა ვერ წაიკითხავს ამ შედევრს. ალბათ, კიდევ ბევრი მიუძღვნის უკვე დიდ წინაპრად ქცეულ გოგლას გულიდან ამოძახილს, მაგრამ არა მგონია არჩილის „მიმინოზე“ კიდევ უფრო მაღლა იბოინოს... ასეა, როცა პოეტს პოეტი უყვარს, მით უმეტეს, ახალგაზრდა პოეტს.

თუ ცოცხალ, დიდი მწერლობის გზაზე შემდგარ ახალგაზრდებს ყურადღებას არ აკლებდა, გიორგი ლეონიძეს არც უდროოდ „სიმღერაშეწყვეტილნი“ ავიწყდებოდა. ერთ-ერთი ასეთი იყო ქეთევან ირემაძე, რომელმაც ფრანგულიდან გადმოაენა აბატ პრევოს **„მანონ ლესკო“** (როგორც ცნობილია, გალაკტიონმა ლექსიც კი დაწერა ამ თარგმანის წაკითხვის შემდეგ), დენი დიდროს **„რამოს ძმისწული“**, ბენჟამინ კონსტანის **„ადოლფი“**.

ამ წიგნებმა უთუოდ კეთილი გავლენა იქონიეს ჩვენს ახალგაზრდებზე. ამას გიორგი ლეონიძე ყოველთვის აღნიშნავდა. ამიტომ იყო, რომ 33 წლის ქეთევანის დაკრძალვაზე გოგლამ, უკვე პოეტმა-აკადემიკოსმა, ფრიად მგრძნობიარე სიტყვა წარმოთქვა: **„ვის არ ენანები, ვის**

ემეტები ასეთი ახალგაზრდა და მშვენიერი ასეთი უდროო სიკვდილისთვის. შენ უფლება გქონდა, დიდხანს გეცოცხლა, დიდხანს გეხარა. ნიჭიერი, განათლებული, დიდი მომავლის მქონე, მაგრამ მოკრძალებული, მუდამ მშრომელი, მუდამ გულისხმიერი და თავაზიანი, შენ რჩეულ ქალთა შორის იყავი საამაყო წევრი ჩვენი რიგებისა. შენი ორიგინალური ნაშრომები, შენი თარგმანები დიდი შენაძენია ქართული მწერლობისთვის, მისი გამამდიდრებელია. მით უფრო გვტკივა გული, რომ ამდენის გამკეთებელი ასე მცირე ხანში, რაღაც ათიოდე წელში, კიდევ რამდენს იშრომებდი ჩვენი მწერლობის სასახელოდ, მაგრამ უდროოდ გაგვშორდი. საფლავის მაგივრად შენ მკერდში ჩაგიკრავენ ის ქართველი დედები, რომელთა სახელის გამომზეურებას ამდენი შრომა შესწირე. და თავისი კუთხე მიუჩინა გოგლამ, მართლაც ქართული სიტყვის გაზიერმა და ჭაშნაგირმა, ქეთევანს ქართული ლიტერატურის მუზეუმში. მახსოვს, როცა კი შალვა რადიანი, ქეთევანის იმუამინდელი მეუღლე, და გოგლა შეხვდებოდნენ ერთმანეთს, კარგა ხანს აუცილებლად ქეთევანზე ჩამოაგდებდნენ ხოლმე ლაპარაკს... ქეთევანის „ლიტერატურული მედალიონებიც“ 1945 წელს გოგლას რუდუნებით გამოიცა.

ჩვენს რედაქციასთან ძალიან ახლოს იყო თავის დროზე ფრიად გამორჩეული ახალგაზრდა მთამსვლელი და ფოტოხელოვანი გურამ თიკანაძე, რომელიც განსახიერებული აპოლონი იყო. იმ დღეს, 1964 წელს, რედაქციაში ერთად ამოვიდნენ გოგლა და გურამი. კარგა ხანს ვილაპარაკეთ, გურამმა აპარატი მოიმარჯვა და სამახსოვრო სურათი გადაგვიღო. ხვალ დილით სვანეთში მივდივარ, ჩამოვალ და სურათსაც მოგართმევთო. ვაი, რომ ვეღარ ჩამოვიდა. მერე მურმან ლებანიძემ ლექსით დაიტირა:

„– ვოი, რა უფერულია სიკვდილი ლოგინში!
ვოი, რა საშინელია სიკვდილი ლოგინში!
ისიც ლოგინში მომკვდარა, ოღონდ –
ყინულის ლოგინში...
გურამ თიკანაძეს შხარა აუღია,
რაც მოხდა, დაშვებისას მომხდარა,
საკუთარი ხელით პალო დაუგია,
საკუთარ პალოზე მომწყდარა...
თავი სიმამაცით წაუგია,
ვოი-ვო, სიმამაცით მომკვდარა!..
ვარსკვლავი ვარსკვლავებს მომწყდარა.“

დღესაც სათუთად ვინახავ გურამის მიერ ადრე რედაქციაში გადაღებულ ფოტოსურათს. ალბათ, ვერც ერთი მხატვარი ვერ დახატავდა გიორგი ლეონიძის ისეთ შთაგონებულ პორტრეტს, როგორიც გურამ თიკანაძის ფოტოზეა სათვალიანი, თავდახრილი, ალბათ, უძველეს ხელნაწერში ჩამაცქერალი გიორგი ლეონიძე აღმოჩენილი...

გიორგი ლეონიძე თავისი დროის ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი ყოვლის უფრორე განსწავლული ადამიანი იყო, რომელსაც, როგორც იტყვიან, ხელისგულზე ედო მთელი მსოფლიოს კულტურის ასავალ-დასავალი და ღრმად ესმოდა მსოფლიოსავე ცივილიზაციათა არსი. ყოველსავე ამას კი მეხსიერების კულტურის წყალობით ახერხებდა და ყოველსავე გამოცდილების სიმაღლიდან სჯიდა... საქართველო ამ ცივილიზაციათა ერთ-ერთი ნიშანსვეტიაო, ამბობდა... საათობით შეეძლო მსოფლიოს დიდ რელიგიებზე და ჩინურ თუ იაპონურ ლექსთწყობაზე საუბარი... მაგრამ, როგორც საბა იტყოდა, **„სოფლისა საქმისაგან უცალო იყო“...**

ერთი რამ მუდამ აწუხებდა, ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრდა ნემსის ყუნწში ძვრება, ოღონდ როგორმე ჩააწყოს და უცხოეთში სტუდენტად თუ არა, ტურისტად მაინც მოხვდესო, ეს მაშინ, როცა თავის სამშობლოს ხეირიანად არ იცნობსო... და თავისი ნათქვამის დასადასტურებლად შალვა ნუცუბიძის მაგალითს მოივარგებდა ხოლმე. შალვა გერმანიაში სწავლობდა, ბერლინის ერთ-ერთ ცნობილ უნივერსიტეტშიო. ლექციებს დიდად სახელგანფენილი პროფესორი უკითხავდაო.

ერთხელ, როცა იმ პროფესორს საქართველოს ხუროთმოძღვრებაზე წაუკითხავს ლექცია, შალვა ნუცუბიძე დაუმოწმებია, აგერ ჩემს ლექციას ქართველი სტუდენტიც ესწრება და ეგ დამიდასტურებსო. შალვა გაწითლებულა, შერცხვენია, რადგან რასაც გერმანელი პროფესორი ამბობდა, არც ენახა და არც გაეგონა. ასე ყოფნა აღარ შეიძლებაო, გადაუწყვეტია შალვას, ერთი წლის აკადემიური აუღია, ჩამოსულა საქართველოში და სულ ფეხით შემოუვლია მთელი ქვეყანა, მთაცა და ბარიც... მერე უკვე ამაყად ვიჯექი აუდიტორიაშიო, უთქვამს შალვას.

ძველი დღიურიდან: დღეს რუსთაველზე შევხვდი შალვა ნუცუბიძეს. ერთად წამოვედით. ადამიანის თავი ორ საათზე მეტს ვერ უძლებს ფილოსოფიასო, ინსტიტუტიდან გამოვიქეციო... ილაპარაკა მანიქეველობაზე, არეოპაგიტიკაზე, რენესანსზე, რუსთაველთან დაკავშირებით ახსენა ალექსი ტოლსტოის წერილი, რომელსაც „ლიტერატურნაია გაზეტა“ ბეჭდავს. შალვა უდიდესი კაცია. ძალიან შეწუხდა გოგლას ავადმყოფობით... (10.X. 1965 წ.)

როგორც ხალხში იტყვიან, ერთმანეთის პირით მეგობრები, ერთგული მეგობრები იყვნენ გიორგი ლეონიძე და აკაკი შანიძე, როგორც გოგლა იტყოდა, **„მრუდუნებელი ვითარცა ჯინჭველა“**, რომელსაც პეტერბურგში ჰქონდა განათლება მიღებული, გოგლასგან განსხვავებით. ისინი ხშირად ეპატიჟებოდნენ ერთმანეთს. აკაკის პატარა ქამრიანი ღვინის ჭიქა დაჰქონდა მუდამ თან (განსხვავებით გურამ ფანჯიკიძისგან, რომელსაც გულის ჯიბეში, პიჯაკის ქვეშ, მუდამ ლამფის შუშა ედო, სუფრის ბოლოს შამპანურისთვის...). ერთხელ, გოგლასთან სტუმრობისას, გოგლამ უთხრა, აბა, იშიშვლე შენი ქამრიანი ჭიქაო და პირველი სადღეგრძელოს უფლება აკაკის მისცა. მახსოვს, აკაკიმ ასეთი რამ ბრძანა: ერთ-ერთ ძველ სამონასტრო საბუთში წერიაო: ძველი წინამძღვრის სიკვდილის შემთხვევაში **ისეთი ახალი წინამძღვარი უნდა ავირჩიოთ, ვინც უმეტესად საქმით და უმცირესად სიტყვით გამოირჩევაო.** აი, ასეთები იყვნენ ჩვენი წინაპრებიო, დასძინა ბოლოს და დალია იმათი სადღეგრძელო. თუმცა, რაღა წინაპრები, თავადაც აკი ასეთები იყვნენ!..

ერთხელაც გოგლას უკითხავს აკაკისთვის, მართალია, რომ ამბობენ, აკაკი შანიძეს უნივერსიტეტის წინ ტრამ-

ვაიმ გაჰკრა, აკაკი წამოჯდა და **გაჰკრა ზმნის** უღლება დაიწყოო... მე გამკრა, შენ გაკრა, იმას გაჰკრაო. ეგ გრამატიკის მოძულე ხალხის მოგონილიაო, ღიმილით მიუგო აკაკიმ. ტრამვაის რომ გაეკრა, რკინისა ხომ არ ვიყავი, ახლა ერთად არ ვიქნებოდითო.

იმ ტრაპეზს, გოგლასთან, ესწრებოდა აკადემიკოსი ერისთავი, ცნობილი ქირურგი, რომელმაც ასეთი რამ თქვა: ჩვენ რომ ხაშლამას ვეძახით, მოხარშულ ძროხის ხორცს, აუცილებლად ცოტა ძვლიანს, პირველად გერმანიაში შევესწარიო. როგორც ჩემმა გერმანელმა მასპინძელმა მითხრა, ღვინის სმის დროს უეჭველად მოხარშული ხორცის დატანებაა საჭირო, თანაც ხორცი უსათუოდ ძროხისა უნდა იყვესო. ორგანიზმში ღვინოს აზომიერებსო (ბარემ აქვე ვიტყვი, რომ თვითონ გოგლას „მშრალი სუფრა“ უყვარდა, წვნიანს თითქმის არ მიირთმევდა, შინ იყო თუ სადმე სტუმრად, დიასახლისს აუცილებლად ეტყოდა, ინდაური ან ქათამი საცივ-ბაჟეში არ გამითხუპნოო). ეს ჩამიწერია კიდეც და სანამ ახალგაზრდა ვიყავი და არც ღვინოსთან ვიყავი მწყრალად, აკადემიკოს ერისთავის ამ „პოსტულატს“ მუდამ „ხორცს ვასხამდი“...

იმ წვეულებაზე, ელენე ახვლედიანის ბინაზე, სადაც ლადო გუდიაშვილი „ქართულს“ ცეკვავს, და ეს ერთ-ერთ ფილმში არის, ჩვენდა საბედნიეროდ, აღბეჭდილი, გიორგი ლეონიძეც იყო მიწვეული, მაგრამ ვერ მოახერხა მისვლა. სამაგიეროდ, ერთხელ ჩემთან საუბარში, ისევ, ჩვენდა საბედნიეროდ, კარგა ხანს ილაპარაკა ლადოსა და ლადოს შემოქმედებაზე.

გოგლას საყვარელი სურათი იყო აპოლონ ქუთათელაძის „თამარ მეფის ნადირობა“...

(გაგრძელება იძნება)

P.S.

ჩანაწერი ისევ ახალი დღიურიდან: ამ ჩემი მოგონება-ესეის ბეჭდვის დაწყებისთანავე, როგორც უკვე ვწერდი, არაერთი ჩემთვის ძვირფასი და ანგარიშგასაწევი ადამიანი გამომეხმაურა. ერთ-ერთი იმათგანია ფრიად სახელიანი პიროვნება ნუგზარ შოშხაძე, რომელიც გიორგი ლეონიძეს წინა საუკუნის 60-იან წლებში ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა შესვედრია რომელიღაც სუფრაზე, სადაც გოგლა, ჩვეულებისამებრ, თამადა ყოფილა. სადღეგრძელო, რომელიც იმას იქ უთქვამს ნუგზარის თანდასწრებით, მეც მსმენია გოგლასგანვე ერთ უცნობ ვარიანტად, ამიტომ ახლა ორსავ ვარიანტს გავაერთიანებ... თამადას, გოგლას, სუფრის წევრებისთვის შეუვსებინებია სასმისები და უთხოვია, ყველამ ჩვენ-ჩვენი წარმომშობი ოთხ-ოთხი გვარის სადღეგრძელო დავლიოთ, საიდანაც მოვდივართ, ანუ ჩვენი წინაპრების ხსოვნა ვადღეგრძელოთო. ვინც ჩვენ-ჩვენს სასმისებს გამოცლით, ჩვენს წინაპრებს იქ, იმ მზეამოუსვლელ ქვეყანაში, ყველას თავ-თავისი სასმისი შეევსება, ხოლო ვინც არ გამოცლის, იმათ წინაპრებს სასმისები ცარიელი დარჩებათო. აბა, ამ სიტყვების შემდეგ ვინ არ დაცლიდა თავის სასმისსო, – ნუგზარმა, და დასძინა, ამ სადღეგრძელომ ისე იმოქმედა ჩემზე, რომ დღესაქამომდე გონებიდან არ გამომდისო.

სხვათა შორის, გოგლას კიდევ ერთი სადღეგრძელოს თქმა უყვარდა, რომელსაც აგრეთვე წინა სადღეგრძელოსავით გოგლაურს უძახდა. ვინც ჩვენზე ადრე დატოვა ეს სამზეო და იქ ჩვენს წილ სამუდამო სამყოფელთ გვითბობენო. გოგლას ეს სადღეგრძელო მერმე

訳者あとがきに代えて

袋　葉那子

80　タラ川左岸の旧城址メチェヒにおける訳者夫妻。対岸にナルカル城址が見える。

真夏なのに、けさもグルジアの赤いバラが咲いた。春からつぎつぎ花をひらく。一九五六年九月、世界三十二ヵ国の代表八百名と中世グルジアの大詩人ショタ・ルスタヴェリの生誕八百年祭に参加したとき、お土産に一枚いただいたバラだ。

一九五五年、この詩を散文にして本にしたのが縁である。その後グルジア対外文化友好協会でそれを知り、それ以来のおつきあいであった。

ある日、トビリシ郊外のベタニア寺にいった。人里離れた谷間に、ぽつんと残っている十二世紀の正教寺院だそうだ。この山の中の一軒家の老人がぶどう畑の中で私たちにぶどうをごちそうしながら、ルスタヴェリの翻訳について感謝の言葉を述べたのにはおどろき、詩人と詩がこんなに一般民衆に浸透しているかと感心した。

そのとき、グルジアの友人たちに、そのうち原書どおり四行詩にして本にすると、かたく約束したのを、ついきのうのことのように思いだす。しかし、現実はそう易々とはいかなかった。

理論社の小宮山さんが出版を引受けてくれるこ

ბანა ქართველთ გვაწყენდა ასეთი საგვარეულო წიგნების შემოღებაო?! გულისტკივილით იტყოდა ხოლმე გოგლა, რომელიც ქვეყნის წარსულის მიმართ ყურადღებიან საქციელს ეროვნული ფესვებისთვის მაცოცხლებელი წყლის დასხმად მიიჩნევდა. ხოლო ფესვები თუ გახმა, მერმე კარგად მეყოლეო, იცოდა ხოლმე სევდიანად თქმა...

შემეხმიანა აგრეთვე ცნობილი ფსიქიატრის შოთა გამყრელიძის მეუღლე, თავადაც ფსიქიატრი, ნათელა გამყრელიძე (შუტკარაძე), 94 წლისა, თვითონ შოთა 93-ე წლისა ამ ხუთი წლის წინათ გარდაცვლილა. როგორც ქალბატონმა ნათელამ გვითხრა, ბატონი შოთა თავგადადებული ბიბლიოფილი ყოფილა, შეგროვილი ჰქონია რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე გადაენებული და გამოცემული 250 ცალი, რომელთა შორის ოჯახს განსაკუთრებით ეძვირფასესება გიორგი ლეონიძის ნაჩუქარი. ამ კოლექციაშია იაპონელი ფუკუროს მიერ იაპონურად გადაენებული, რომელიც ფუკუროს, გიორგი ლეონიძის რჩევით, გივი მელაძეს გადაუცია შოთა გამყრელიძისთვის. ერთი სიტყვით, ბატონ შოთას გიორგი ლეონიძე გაღმერთებული ჰყავდა, და განსაკუთრებით აფასებდა როგორც დიდ ქართველსო, შეხვედრითაც არაერთხელ შეხვედრიაო.

როგორც წინა, ახალ დღიურში ვწერდი, ამ პუბლიკაციის დღეებში დამირეკა საქართველოს რკინიგზის ყოფილმა უფროსის მოადგილემ გუგული მასსურაძემაც, ფრიად ნაკითხმა და საერთოდ მწიგნობარმა კაცმა, ტიციან ტაბიძის მეუღლის ნინა მაყაშვილის ნათესავმა. ნინა მაყაშვილი, როგორც გუგულიმ ბრძანა, ილია ჭავჭავაძის დის შვილიშვილი ყოფილა. 40-50-იან წლებში ზაფხულობით თურმე მარტყოფში ისვენებდა მაისურაძეებში, ძველ მამა-პაპურ სახლში. სხვა მწერლებთან ერთად და ცალკეც, ნინას მოსანახულებლად მარტყოფში რამდენჯერმე ჩასულა გიორგი ლეონიძეც. პირველ ჩასვლაზე გოგლას მაისურაძეების რიკულებიანი სახლის დანახვისას წამოუძახია, ეს ჩემი პატარძეულის სახლი აქ ვის გადმოუტანიაო...

გუგულიმ ის ამბავიც გაიხსენა, ნინა მაყაშვილის ნაამბობი, ერეკლე || ფრიდრიხ ||-ს რომ იცნობდა, და აკი უთქვამს კიდეც, ევროპაში მე ვარ პირველი, კავკასიაში კი ერეკლე ბაგრატიონიო. როგორც ცნობილია, ბეთჰოვენმა თავისი გენიალური მე-9 სიმფონია ნაპოლეონის მხედრული მამაცობით აღფრთოვანებულს შეუთხზავს, ხოლო მერე ნაპოლეონში იმედგაცრუებულს ჰეროიკული დაურქმევია. ბეთჰოვენს ფრიდრიხ მეორისგან ვითომ ჩვენი პატარა კახის ამბავიც სცოდნია და მე-9 სიმფონიაში რაღაც ქართული ბგეროვნებაც, ანუ მოტივიც გაურევია. ამის თაობაზე ნათქვამი ჰქონია ქართული კულტურის მუზეუმის დირექტორს, ნამდვილად კითხულ კაცს გიორგი კალანდიასაც... აი, ვითომ სწორედ ამ ამბავს დაუწერინებია გალაკტიონ ტაბიძისთვის „მე-9 სიმფონია“:

„სად ზღვის ჭავლებია,
ყვავილთა მთოველი,
კვლავ ვხვდებით ერთმანეთს
მე და ბეთჰოვენი.
ოცნება მგონია,
სიზმარი მგონია...
ქართული მოტივი –
მეცხრე სიმფონია!..“

ჩვენც სხვა არა დაგვრჩენია რა, ოცნებად და სიზმრად უნდა წარმოვიდგინოთ ყოველივე, და განა ჩვენი ცხოვრება მართლაც ოცნება და სიზმარი არ არის?!

№ 126-127. სამშაბათი-ოთხშაბათი, 6-7 ოქტომბერი, 2020 წელი.

საკაძემ, ოძელაშვილმა და მეჯღანუაშვილმა უკვე დააყენეს სისხლის ღვარი...

ეს დღეები — წინასაარჩევნო ფორიაქის, სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე ანთებული ჭიაკოკონის, კოვიდ19-ის თარეშის პერიოდი — შეშფოთებასთან ერთად სიამაყესაც გვრის კაცს.

ეს მოულოდნელი გრძნობა — სიამაყე ნაცების ჯილამ სელაპა გრიგოლ ვაშაძემ გააჩინა!.. მაშინ, როდესაც მისი თანამებრძოლნი ქვების სროლასა და დედის გინებაში ვარჯიშობენ, დგას ეს ყოველმხრივ შემკული, გუშინ კინაღამ საქართველოს პრეზიდენტად ხელდასხმული კაცი და „მაუგლის“ კითხულობს. ისე კი არა, როგორც გალაკტიონი იტყოდა, „არის მკითხველი მშვენიერ წიგნის და არის მხოლოდ გადამკითხველი“, არამედ ღრმად, საფუძვლიანად, ასე ვთქვათ, მთელ გულ-ბოყვითა და სუკებით შეიმეცნა რედიარდ კიპლინგის სიღრმე და თავის სამეტყველო პრაქტიკაში ჩანერგა ამ დიდი მწერლის ცალკეული შემოქმედებითი პასაჟები.

აი, იმ დღესაც, გრიგოლ ვაშაძემ არსებული ხელისუფლება ასე დაახასიათა: **„ეგ ბანდერლოგებიო“, ანუ მაუგლისებურად — მაიმუნებიო.**

ამ ლიტერატურულმა რემინისცენციამ გიგა ბოკერიას მიმართ ამას წინათ ნათქვამი მისი სიტყვები გამახსენა: **„ეგ კაცი (გიგი ბოკერია) ისე მაინტერესებს, როგორც ტანზანიაში სორგოს მოსავალიო“.**

უბრალოდ, თანამედროვე სლოგანით კი არა თქვა, გიგა ბოკერია ქინძზე მკიდიაო (როგორც ნაცი ქალებისა და კაცების უმეტესობა იტყოდა), არამედ მისდამი ინტერესი ტანზანიაში სორგოს მოსავლისადმი ინტერესს გაუთანაბრა. ამით თავი აშკარად სალომე სამადაშვილსა და ნიკა მელიაზე მაღლა დააყენა, ბანდერლოგებიო!..

ამავე ხელისუფლებაზე და „ოცნებაზე“ მაგალითად რომან გოცირიძემ უკეთესი ვერაფერი მოიგონა და **პლებეურად, ხაბეიშვილისებურად** — ბანდიტებიო...

სხვათა შორის, მსგავსი სიახლე — ლიტერატურული თუ ისტორიული გმირით მანიპულირება დაიწყო „ქართული ოცნების“ საპარლამენტო ორბიტიდან საკუთარი ინიციატივით გატყორცნილმა გედევან ფოფხაძემაც. რადიო „თავისუფლების“ გადაცემაში „დიდი საუბრები“ განაცხადა: **„იყო ასეთი გმირი მსოფლიო ისტორიაში — სპარტაკი ერქვა და მან ისტორია შეცვალა მენტალურ დონეზე. მაქვს პრეტენზია, რომ ვარ სპარტაკი და მაქვს პრეტენზია, რომ ხალხს მოვუტან თავისუფლებასო“.**

ყოჩაღ, ძმაო, კაცი შენ ყოფილხარ!

ოღონდ ისიც უნდა გაითვალისწინოს ბატონმა გედევანმა, რომ იმ სპარტაკმა საბოლოოდ ვერავითარი თავისუფლება ვერ მოუტანა თანამებრძოლებს და კრასუსთან უკანასკნელ ბრძოლაში ათიათასობით თანამებრძოლთან ერთად დაიღუპა, ხოლო ვინც ცოცხალი გადარჩა, ყველა ჯვარზე გააკრეს. ასე რომ, სპარტაკის მიერ ხალხისთვის თავისუფლების მოტანა, ერთობ პირობითი ცნებაა.

ისე კი, გამორიცხული არ არის, ბატონი გედევანის ინიციატივა აიტაცონ ოპოზიციის ლომებმა, მაგალითად, გიორგი ვაშაძემ ხვალ გამოაცხადოს, გიორგი საკაძე ვარო, ან დიდმა მიშამ სულ გაუტიოს — ძია სტალინი ვარო, გიგა ბოკერიამ — არსენა ოძელაშვილიო, მამუკა ხაზარაძემ კი მორცხვად — სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილიო და ა.შ. რას შვრები მერე!

არადა, ოპოზიცია, მთელი ეს საკაძე-ოძელაშვილი-მეჯღანუაშვილი უკვე მთლიანად ჩაერთო საარჩევნო სამზადისში და ხელიც ჩვეულებისამებრ (უფრო სწორად, აპრობირებული პრაქტიკისამებრ) გამოიღო — მარნეულსა და ბოლნისში პირდაპირ სისხლის ღვარი დაყენეს, ცხვირ-პირი გაუსწორეს „მოწინააღმდეგეებს“. ცეცხლის ხაზზე წყევლა-კრულვით დაქროდა „მტრის მხარეს“ ურა ცხენივით გადაჭენებული კახა ოქრიაშვილი...

ზემოხსენებული სპარტაკი ამ მუშტი-კრივებს აანალიზებს და ღრმააზროვნად აცხადებს, **არჩევნების წინ მსგავსი ტიპის კონფლიქტები ხელისუფლების ინტერესებში შედისო(?!)**

ვითომ მართლა ხელისუფლების ინტერესებში შედის სამეზობლოში აბოლებული საომარი ხანძრის დროს **ქვემო ქართლში** ასეთი გაუაზრებელი და სახიფათო ქმედებები? ძნელი სავარაუდებელია!

ჰოდა, ახლა სამეზობლოზე.

პრემიერმა ნიკოლ ფაშინიანმა შვილი აშოტი ბრძოლის წინა ხაზზე გაუშვა, ახლა ის დროა, კაცი სამშობლოსთვის მოკვდესო. ყარაბაღშია მისი მეუღლე ანა აკოფიანიც, ოთხი შვილის დედა, მან აგვისტოში, თითქოს ჯადოსნურ სარკეში იყურებოდაო, საბრძოლო მოქმედების კურსები გაიარა არცახში (მთიან ყარაბაღში) დისლოცირებულ ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში 15 სხვა ქალბატონთან ერთად. ისინი მოძრაობა „ქალები მშვიდობისთვის“ წევრები არიან, აქტიურად მოემზადნენ სავარაუდო ომისთვის და, თქვენ წარმოიდგინეთ, ომმაც არ დააყოვნა!

ფრონტის მეორე მხარეს პრეზიდენტ ალიევის მეუღლე ქალბატონი მეჰრიბან ალიევა ჯარისკაცებს ამხნევებს: დაე, უზენაესმა აზერბაიჯანელებს შესაძლებლობა მისცეს ყარაბაღის წმინდა მიწას ეამბორონო.

ისე რომ, არც ერთი მხარე, ჯერჯერობით, შეჩერებას არ აპირებს. საინფორმაციო საშუალებები აცხადებენ, რომ ყარაბაღში უცხოური უკანონო ფორმირებების გადასროლა ხორციელდება: ერთ მხარეს თურქულის, მეორე მხარეს კი სირიელი სომხებისო.

სომხეთის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა არაიკ არუთინიანმა გადაწყვეტილება მიიღო, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიმართოს თხოვნით, უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება ჩამოართვას საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს. ამის მიზეზად ასახელებს იმას, რომ სააკაშვილმა 28 სექტემბერს ფეისბუქში გამოქვეყნებულ პოსტში მხარდაჭერა გამოხატა აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობისადმი: განაცხადა, მთიანი ყარაბაღი ისტორიულად ყოველთვის აზერბაიჯანის ტერიტორია იყოო და გული დაუკოდა სომხურ მხარეს.

ერთი სიტყვით, ახლა ის დროა, ყველამ იმაზე ვიფიქროთ, თითოეულის განცხადებები და ქცევა ამ ვითარებაში რამდენად წაადგება ჩვენს ქვეყანას, ხომ არ დააზიანებს, ხომ არ დაზარალებს მის ინტერესებს...

დაბოლოს, ერთიანი ეროვნული მოძრაობის ბოლო ფოკუსზე უნდა მოგახსენოთ: თავიანთ საარჩევნო სიაში პირველ ნომრად გაწერილი გრიგოლ ვაშაძე „ჩამოალაბორანტეს“ და მის ადგილზე, პირველ ნომრად ცნობილი მომღერალი და მსახიობი ბუბა კიკაბიძე ჩაწერეს.

ერთი თვეც და შევიტყობთ, რამდენად წაადგება ეს გადაადგილება მიშა სააკაშვილის გუნდს. ის ცალკე სათქმელია, რაში დასჭირდა გუნდს მხცოვანი მომღერალი და რაში დასჭირდა თვით ბუბას ეს მოულოდნელობა, თუ არ ჩავთვლით პატივმოყვარეობის შუშხუნა გრძნობას.

ჩიტო, გვრიტო, ჩიტო მარგალიტო და...

ალეკო ასლანიშვილი

კაცუნას სინდრომი

მაინც, რა არის ეს ბინძური პოლიტიკა თუ პოლიტიკოსთა სიბინძურე, რას არ გაფიქრებინებს კაცს.

კაცობრიობამ უხვად შემოინახა ძალაუფლებით აღჭურვილ ტირანთა ზეობისას ჩადენილი უკეთურობებისა თუ პათოლოგიური გადახრების მაგალითები, როცა ზოგი მათგანი ქვეშევრდომებს აჭრიდა თავებს, ზოგი ტაძარს წვავდა, ზოგი ცხენს ანიჭებდა სენატორის სტატუსს და ზოგიც მისთვის საძულველი ერების შვილებს ნარკომანებთან ერთად ჯგუფურად ძირავდა ზღვაში.

დარწმუნებული ვარ, გეცნოთ აღნიშნული ბოროტების შემოქმედთა ვინაობა და ამიტომ, წინასაარჩევნო პანდემიით დაზაფრულ თანამემამულეთა ფაქტორის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ მათი ხსენებით აღარ მოგიშხამავთ ხასიათს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი ისტორიული ფიგურები მაინც იყვნენ.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მათ ფონზე, საინტერესოა, რას წარმოადგენს ბედის უკუღმართობით რუსეთ-ამერიკისა და სოროსული სალიბერასტეთის მიერ საქართველოს მესამე პრეზიდენტად შემოსაღებული მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ნებაყოფლობით „გაეყარა“ ყოფილი სამშობლოს მოქალაქეობას და, უკვე უკრაინის პასპორტით ძალგულოვნებადაბრუნებული, კიევიდან განაგრძობს ვირტუალურ, გნებავთ — დაუსწრებელ ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობას?

პასუხი მარტივად გასაცემია — საკუთარი ოჯახის წევრი ქალბატონების ჩაფლავებული პოლიტიკური ამბიციებისა და თავიდანვე უტოპიურად მიჩნეული, უკვე მრავალჯერ გადადებული თბილისში დაბრუნების შემდეგ „ცენტროვკადაკარგულმა“ გნაცმოძრაობა — „ძალა ერთობაშიას“ წამოყენებულმა ქვეყნის პრემიერ-მინისტრობის ბუტაფორიულმა კანდიდატმა ნაცად ხერხს მიმართა: თანამემამულეთათვის ერთ დროს საყვარელ ხელოვანთა შეზიზღების მანკიერი პრაქტიკა გაიხსენა.

დიახ, თუ წინა საპარლამენტო არჩევნების დროს ნაც-ფიურერმა მსოფლიო ბანპაატა ბურჭულაძის ავტორიტეტი გაწირა, ამჯერად მხცოვანი ბუბა კიკაბიძე ამოიღო მიზანში და საინფორმაციო საშუალებითა თუ სოციალური ქსელებით ისედაც გამწარებული სიბერე, ადვილი შესაძლებელია, ჯოჯოხეთად უქციოს.

ვცდილობ, ახსნა მოვუძებნო თანამებრძოლ-თანამოაზრეთა ასეთი გამეტების პრეცედენტებს, რაც, თუ გულახდილნი ვიქნებით, ფსიქოლოგ-ფსიქიატრთა რომელიმე გარკვეული მიმართულების წარმომადგენელთა კომპეტენციის სფეროს უფრო განეკუთვნება, მაგრამ, ადამიანური ქვეცნობიერის კარნახით, თუნდაც დილეტანტურ პირად აზრს გაგიზიარებთ და პროფესიონალთა არგუმენტირებულ გამოხმაურებამდე ეს ვიკმაროთ.

ეტყობა, უკვე დნეპრის ნაპირებზეც წყალშეყენებულ საკოვიდში უსაზღვროდ მძლავრობს ბოლო წლებში ახალშეძენილ დროებით ვითომ მეგობართა მიმართ შური და, საკუთარი ყველანაირი ფიასკოთი და ამღვრეული პოლიტიკური მდინარის ზედაპირზე გაჭიანურებული უშედეგო ტივტივით გაღიზიანებულ-გამწარებული, მათი აქა-იქ, ჯერაც შემორჩენილი ვარსკვლავური რენომეს ნგრევას შეუდგა.

ბოღმა ხომ კაცუნებს ახასიათებს!

გია პლატონიშვილი.

მინაწერი: **შეიძლება, ვინმე მორალურად ავადმყოფმა გაიკვირვოს, რატომ არ ამშვენებენ შემოთავაზებულ ჩამონათვალს მიშას როგორც ტრაგიკომიკური პერსონის, ისე აღმშენებლობის ეფემერული უნარის ტრფიალ-თაყვანისმცემელნი, თუნდაც სოფო ნიჟარაძე ან ხატია ბუნიათიშვილიო.**

ღმერთმა დაგვიფაროს, სხვათა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით ვნებააშლილ, არასრულფასოვნების კომპლექსით „პილიონკებიდანვე“ შეპყრობილ, ოდესღაც უმაღლესი თანამდებობის პირებს მივბაძოთ და მავანთა ნაგავი სამზეოზე გამოვიტანოთ.

გ. პ.

◎ სია სიისთვის

„ენმ-ს სიაში ვერანაირ ლოგიკას ვერ ვხედავ!..

სია სიისთვის, რომელიც მხოლოდ საკუთარ ამომრჩეველზეა გამიზნული — ასე აფასებენ ანალიტიკოსები „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარდგენილ 2020 წლის საარჩევნო სიას. მათი თქმით, ყველაზე მოულოდნელი სიის პირველი ნომერი ბუბა კიკაბიძე იყო. ანალიტიკოსებისთვის გასაკვირია, რა ალგორითმით მოხდა სიის შედგენა და რაზეა გათვლილი პარტიის ყველაზე ცნობილი და აქტიური პოლიტიკოსების სიის ბოლოში დაწერა. ისინი ვარაუდობენ, რომ ეს ფაქტი შიდაპარტიულ დაპირისპირებას გამოიწვევს. შესაბამისად, ამ სიით ენმ ჩამოუყალიბებელი ამომრჩევლის მოზიდვას ვერ შეძლებს.

საარჩევნო ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ — ძალა ერთობაშიას პარტიული სიაში 177 ადამიანია. სია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ენმ-ს წევრმა **თინა ბოკუჩავამ** წარადგინა.

ბლოკი 5 საარჩევნო სუბიექტს აერთიანებს: „ნაციონალური მოძრაობა“, „მოძრაობა — სახელმწიფო ხალხისთვის“, „პროგრესი და თავისუფლება“, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ და „ევროპელი დემოკრატები“.

1. ბუბა კიკაბიძე, 2. გრიგოლ ვაშაძე, 3. ნიკა მელია, 4. ხატია დეკანოიძე, 5. კობა ნაყოფია, 6. დევი ჭანკოტაძე, 7. ლევან ვარშალომიძე, 8. სალომე სამადაშვილი, 9. ზალიკო უდუმაშვილი, 10. ხათუნა სამნიძე, 11. რომან გოცირიძე, 12. თემურ ჯანაშია, 13. ნატო ჩხეიძე, 14. რამაზ ნიკოლაიშვილი, 15. კახაბერ ოქრიაშვილი, 16. გუბაზ სანიკიძე, 17. აბდულა ისმაილოვი, 18. ცეზარ ჩოჩელი, 19. თამარ კორძაია, 20. სულხან სიბაშვილი, 21. გიორგი გოდაბრელიძე, 22. დავით ხაჯიშვილი, 23. დილარ ხაბულიანი, 24. თინათინ ბოკუჩავა, 25. როსტომ ჩხეიძე, 26. დავით კირკიტაძე, 27. გიორგი ბოტკოველი, 28. ეკატერინე ხერხეულიძე, 29. მანუჩარ კვირკველია, 30. ნიკა მაჭუტაძე, 31. აკაკი მინაშვილი, 32. ნონა მამულაშვილი, 33. ლევან ბეჟუაშვილი, 34. ბაჩუკი ქარდავა, 35. ლევან ხაბეიშვილი, 36. ანა წითლიძე, 37. მირდატ ქამადაძე, 38. დიმიტრი შაშკინი, 39. ბადრი ბასიშვილი, 40. ეკა წამალაშვილი, 41. მურმან დუმბაძე, 42. გიორგი ბარამიძე, 43. ნუგზარ წიკლაური, 44. რუსუდან ცირეკიძე, 45. მურთაზ ზოდელავა, 46. გიორგი პატარაია, 47. ზაზა გოროზია, 48. ნინო კვიტაშვილი, 49. ბექა ქორჩილავა, 50. აზერ სულეიმანოვი.

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** აცხადებს, რომ მისთვის ყველაზე მოულოდნელი და სიუპრიზი მომღერალ ბუბა კიკაბიძის სიის პირველ ნომრად ნახვა გახდა. ანალიტიკოსი ამბობს, რომ კიკაბიძესთან, რა თქმა უნდა, პრობლემა არავის აქვს, მაგრამ საპარლამენტო არჩევნების დროს ამომრჩევლისთვის სიის პირველი ნომერი განსაზღვრავს პარტიის სამოქმედო გეგმას, წინასაარჩევნო აქტიურობას და იმას, თუ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში პასუხისმგებელი რაზეა.

„უფრო მგონია, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ბუბა კიკაბიძის ადგილას მიხეილ სააკაშვილი უნდა იგულისხმოს, სხვა ახსნა მე, მაგალითად, ამ ალგორითმს ვერ მოვუძებნე. მეორე, რაც ცოტა გაუგებარი აღმოჩნდა, ის გახლავთ, რომ პარტიის ყველაზე აქტიური და წამყვანი ფიგურები, რომლებიც ენმ-ს პოლიტიკას განსაზღვრავდნენ, სიის მესამე ოცეულში აღმოჩდნენ. ამაშიც ვერანაირი ლოგიკა ვერ დავინახე. ერთ-ერთი, რაც შეიძლება ითქვას, ასეთი მებრძოლი სახეები ვიღაცას არ სჭირდება. ამას სხვა ახსნა, უბრალოდ, ვერც მოვუძებნე. სხვა მხრივ, ასევე სიაში ახალი სახეები ნაკლებად არიან, თუმცა პრობლემა აქ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პოლიტიკურად აქტიური, ცნობადი სახეები სიის ბოლოსკენ არიან“, — აცხადებს ძაბირაძე.

მისივე თქმით, **რჩება შთაბეჭდილება, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ წაგებას უკვე შეგუებულია და არა აქვს მნიშვნელობა, სიის თავში და შუაში ვის დაწერენ. თუმცა ანალიტიკოსი არ გამორიცხავს, რომ ამით შიდაპარტიული დაპირისპირება დაიწყოს და პრობლემები რეალურად შიგნით დაიწყოს. ის ვარაუდობს, რომ პარტიის მოქმედი და საკმაოდ აქტიური სახეების მხრიდან უკმაყოფილება სიის ბოლოში დაწერისთვის იქნება.** ძაბირაძე ამბობს, რომ ეს არის სია სიისთვის, რაღაც ხომ უნდა დაეწერათ და დაწერეს. ზუსტად იციან, მათი ამომრჩევლის 16% არსად წავა და მათ შენარჩუნებას იღვწიან...

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძეც** for.ge-სთან აღნიშნავს, რომ ნაციონალების **სია არ არის იმ შემადგენლობის, რომლითაც შესაძლოა დამატებით ამომრჩევლის მოზიდვაზე იფიქრონ. საყვარელიძისთვის გაუგებარია, რა ლოგიკით მოხდა სიის შედგენა და რით იხელმძღვანელეს. მისი აზრით, პარტია ახლა მხოლოდ იმას ცდილობს, რომ საკუთარი ამომრჩეველი შეინარჩუნოს და მის კონკურენტ ოპოზიციურ პარტიებს ელექტორატის გაყოფის საშუალება არ მისცეს.**

„ამ სიაში ვერ ვხედავ ვერანაირ ლოგიკას, უბრალოდ, მათი ქცევიდან გამომდინარე, ამ ბოლო დროს აზრი ჩამომიყალიბდა, რომ ისინი მხოლოდ საკუთარი ამომრჩევლის მიზიდვას ცდილობენ. პარტია მუდმივი ამომრჩევლისთვის მუშაობს და სხვა რაიმე ახალი შეთავაზება არ აქვს. ის სახეებია, ის ფიგურებია, რომლებიც მათ ამომრჩევლებს უხარიათ მხოლოდ.

ამ სიითაც სურათი იგივე გვექნება, რაც ამ ხნის განმავლობაში ყველა არჩევნებზე გვქონდა. **ნაციონალები ხედავენ, მათ ამომრჩეველზე კონკურენცია ევროპელების და „სტრატეგია აღმაშენებლის“ სახით არის და ამიტომაც მძაფრი ბრძოლა ამ კონკრეტული ამომრჩევლისთვის მიდის. მგონია, რომ პარტიის მნიშვნელოვანი სახეების უკანა პლანზე გადაყვანით ბევრს საერთოდ პოლიტიკური აქტიურობის სურვილს და მოტივაციას დაუკარგავს. ამიტომაც ეს ისევ პარტიას დააზიანებს და შიგნით პროტესტის მუხტს გააჩენს“,** — ამბობს საყვარელიძე.

ლიკა ბერიკაშვილი

არჩევნების გადადებაზე საუბარი არ არის!

არჩევნების გადადებაზე საუბარი არ არის, პარტიებს აქვთ შესაძლებლობა, საარჩევნო კამპანია მშვიდ, თავისუფალ, თანაბარ პირობებში ჩაატარონ, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

კალაძის თქმით, მოქალაქეები საარჩევნო უბნებზე პირბადით იქნებიან, რაც შეეხება რეგისტრაციის პროცესს, მისი ინფორმაციით, აღნიშნულზე ეპიდემიოლოგების მიერ დეტალური მითითებები გაიცემა.

„ინფიცირებულთა რაოდენობის ზრდა მოსალოდნელი იყო და ამაზე ჩვენ ბევრს ვსაუბრობდით. მოგვიწევს ადაპტირება და თანაცხოვრება ამ ვირუსთან. პირველ ტალღასთან შედარებით, დღეს უფრო მეტი გამოცდილება გვაქვს. ვიცით, როგორ გავუმკლავდეთ ვირუსს და, რა თქმა უნდა, ვიდრე არ იქნება ვაქცინა, უნდა დავუჯეროთ ჩვენს ეპიდემიოლოგებს და მაქსიმალურად გავითვალისწინოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელსაც გვაძლევენ. ასევე, ყველაზე მთავარია პირბადის ტარება. ადამიანი, რომელიც ხმის მისაცემად შედის, ცხადია, პირბადით იქნება, მაგრამ, როდესაც რეგისტრაციას გადის ამაზე დეტალურად იქნება მითითებები მიცემული, როგორ და რა ფორმით განხორციელდება ეს ყველაფერი“, — განაცხადა კალაძემ.

ნაცმოძრაობის აქტივისტს საპატიმრო გირაო შეეფარდა

ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტ არიფ იუსუბოვს აღკვეთის ღონისძიების სახით 4 000-ლარიანი საპატიმრო გირაო შეუფარდა.

პროკურატურა იუსუბოვის მიმართ 5 000-ლარიან გირაოს, ხოლო ადვოკატი აღკვეთის ღონისძიების გარეშე მის გათავისუფლებას ითხოვდა.

საქართველოს პროკურატურამ საარჩევნო პლაკატების გაკვრასთან დაკავშირებით მომხდარი კონფლიქტისას ორი პირის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე დაკავებულ ა.ი-ს ბრალდება 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ძალადობა, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი ორი პირის მიმართ) გუშინ ორ ეპიზოდზე წარუდგინა.

სამართალდამცველებმა ა.ი. მოსამართლის განჩინების საფუძველზე 3 ოქტომბერს დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, ნახიდურში „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტის ოჯახის წევრებმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციელებს და არ მისცეს მისი დაკავების საშუალება, რაზეც მიმდინარეობს გამოძიება. მოგვიანებით, არიფ იუსუბოვი სამართალდამცველებს თავად ჩაბარდა.

დააკავეს პარტიის გენმდივანი

თბილისის მერიასთან დააკავეს „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი პაატა მანჯგალაძე და პარტიის 3 მხარდამჭერი. ისინი პარტიისთვის გამოწერილ ჯარიმებს აპროტესტებდნენ. შსს-ის ცნობით, ისინი სისხლის სამართლის კოდექსის 173-ე, სამართალდამცველის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის მუხლით არიან დაკავებულები.

თეონა ჭალიძის თქმით, პოლიციამ მათ წინ ბარიკადები აღმართა და მერიის შენობაში შესვლის საშუალება არ მისცა, რაც უკანონოა.

ჭკუა ვერ ისწავლეს

თბილისის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გამოწერილ ჯარიმებთან დაკავშირებით, „სტრატეგია აღმაშენებელმა“ თბილისის მერიასთან გუშინ აქცია გამართა და მიმდებარე ტერიტორიაზე კარვები თვითნებურად განათავსა.

„სტრატეგია აღმაშენებელი“ ისევ დაჯარიმდა 1000 ლარით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1503-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, რაც გულისხმობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავენტილაციო სისტემის, ბანკომატის, სარეცხის საშრობის, გისოსის, ჯიხურის, დახლის ან/და სხვა მსუბუქი კონსტრუქციის თვითნებურ მონტაჟს ან/და განთავსებას“, — ნათქვამია მერიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

როგორც უწყებაში განმარტავენ, სწორედ ამავე მუხლით დაჯარიმდა პოლიტიკური პარტია რამდენიმე თვის წინ, რაც მათ გაასაჩივრეს მერიის იურიდიულ სამსახურში, მაგრამ საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

◎ ფეხბურთი

გაზონის ფაქტორი

ვინაიდან „კრისტალბეთ“ ეროვნული ლიგის მორიგი ტურის ცენტრალური მატჩი „დინამო“ – „საბურთალო“ გადაიდო,ბელარუსთან მოახლოებული უმნიშვნელოვანესი სანაკრებო პლეი-ოფის პრიზმაში სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ გასულ უქმეებზე თავი ისახელეს უცხოეთში მოთამაშე ქართველმა ლეგიონერებმა.

კერძოდ, გოლები გაიტანეს კვარაცხელიამ, კიტეიშვილმა, კანკავამ, ბერიძემ და ზივზივაძემ, ხოლო ჩაკვეტაძე გამოჯანმრთელდა და მინდორს დაუბრუნდა.

რადგან ზემოთ გადადებული შეხვედრა ვახსენეთ, დავძენთ, რომ იგი სწორედ ერთა ლიგის მომავალი ჯახისათვის „დინამო არენის“ გაზონის შენახვის საბაბით გადაწიეს 23 ოქტომბრისთვის.

რაც შეეხება ევროპის სტადიონზე გამართულ ჯახებს, გაეცანით რამდენიმე საყურადღებო შედეგს: **„ასტონ ვილა“ – „ლივერპული“ 7:2, „მანჩესტერ იუნაიტედი“ – „ტოტენჰემი“ 1:6, „ბაიერნი“ – „ჰერტა“ 4:3 (ოთხივე ბურთი სტუმრებს ლევანდოვსკიმ გაუტანა), „სპარტა“ – „ალკმაარი 4:4 (მასპინძლებმა 0:4 ამოქაჩეს).**

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

თურმე, შეიძლება...

მას შემდგე, რაც „ლოს-ანჟელეს ლეიკერზი“ ნბა-ს სუპერფინალური სერიის მეორე მატჩის მოგებით „მაიამი ჰათთან“ – 124:114 კომფორტული ანგარიშით დაწინაურდა – 2:0, ბევრმა ფლორიდელები ჩამოწერა – მათ ხომ ტრავმირებული ძირითადი გამთამაშებელი გორან დრაგიჩიც გამოაკლდათ.

როგორც ირკვევა, არც მთლად მასე ყოფილა საქმე – კედელთან მიყენებული ერიკ სპოელსტრას გუნდი მესამე შეხვედრაში საკუთარ თავს გადაახტა და ფავორიტი ციდან მიწაზე დაუშვა – 114:104.

ასე რომ, წყვილში ინტრიგა დაბრუნდა – 2:1 და უკვე ძნელი პროგნოზირებადია, როგორ განვითარდება აწი მოვლენები – კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ თვით მრისხანე მეტოქეც კი არაა დაუმარცხებელი.

ყველაზე შედეგიანები: ჯიმი ბატლერი – 40 ქულა, 11 მოხსნა, 13 პასი („მაიამი“); ლებრონ ჯეიმსი – 25 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა („ლეიკერზი“).

ამასობაში ხანმოკლე მინი-კრიზისი დაძლია ცსკა-მ, რომელმაც ვთბ-ლიგის საშინაო ბრძოლა კრასნოდარის „ლოკომოტივ-ყუბანს“ 94:80 მოუგო. თორნიკე შენგელიამ არმიელებს 11 ქულა შესძინა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფარიკაობა

ვეტერანები მწყობრში არიან

ძველი გვარდიის მუშკეტერთა ინიციატივით 2015 წელს ჩამოყალიბდა ვეტერან მოფარიკავეთა საბჭო, რომლის თავმჯდომარედ ახალგაზრდებში 1963 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნიკოლოზ ანდრიაძე ავირჩიეთ. ვეტერანთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებისკენ სწორედ მან გაგვიკვალა გზა – 2013 წელს მსოფლიოზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მომდევნო წელს კი ევროპის პირველობაზე მიაღწია მსგავს წარმატებას; პროფესიონალ ექიმთა ევროპის პირველობაზე რაპირით შეჯიბრებაში ორჯერ ოქროს მედალი ერგო...

2016 წელს ჩვენი ორგანიზაცია ევროპის ვეტერან მოფარიკავეთა ფედერაციის წევრი გახდა. მას შემდეგ რეგულარულად ვმონაწილეობთ მსოფლიოსა და ევროპის გუნდურ პირველობებში. 2018 წელს დაშნაში მე-9 ადგილზე გავედით. რაც წლები გადის, ვეტერანთა ტურნირებში სულ უფრო მეტი მონაწილე იყრის თავს და წარმატებების მიღწევა რთულდება. მაგალითად, შარშან ოთხ ასაკში სხვადასხვა ქვეყნის 1800-ზე მეტი მოფარიკავე ასპარეზობდა ევროპის ჩემპიონატში.

მომავალი წლიდან ვეტერანთა ტურნირების პოპულარობა კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებთან ერთად 2021 წლიდან ვეტერანებისთვის ევროპის საზაფხულო თამაშები გაიმართება, რომლის პროგრამაშიც ფარიკაობაც შეიტანეს. ამას ყოველწლიურად დაემატება ოთხი სატელიტი ტურნირი, რომელთა შედეგების გათვალიწინებით გამოვლინდებიან წლის საუკეთესო მუშკეტერები. ასე რომ, საერთაშორისო სარბიელზე ჯილდოების მოსაპოვებლად მეტი გარჯა მოგვიწევს – წვრთნის პროცესს გავაუმჯობესებთ და საშინაო ტურნირების რაოდენობას გავზრდით. ბოლო ორი წლის განმავლობაში ორჯერ საქართველოს თასი გავათამაშეთ და ამდენჯერვე საახალწლო შეჯიბრება მოვაწყვეთ.



წლეულს 17 ოქტომბერს ვეტერანთა საბჭოს საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა გაიმართება, სადაც განვლილ მუშაობას გავაანალიზებთ და სამომავლო გზებს დავსახავთ. იმედია, საბჭოს ახალი შემადგენლობა საერთაშორისო სარბიელზე უკეთესი შედეგების მოსაპოვებლად უფრო მეტს გააკეთებს.

ზურაბ ბოკუჩავა,
ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

◎ ლეგენდა

ბუნდესპოქის შემქმნელი

მას ყველა გამოკითხვაში აქვს დამკვიდრებული კუთვნილი ადგილი ერთ-ერთი ცენტრალური მცველის პოზიციაზე, თანაც – სავსებით დამსახურებულად.

იცვლებიან მეწყვილეები, მათ შორის ზოგი უპირატესობას მურთაზ ხურცილავას ანიჭებს, მაგრამ **ფრანც ბეკენბაუერი** უკონკურენტოა.



ხომ იცით, ენას ძვალი არა აქვს და ისიც მსმენია, იგი მეორე მსოფლიო ომის დროს დატყვევებული ქართველი ჯარისკაცის უკანონო შვილია, რომელიც გერმანელი არისტოკრატის მამულში მუშაობდა და ბარონესასთან გააბა მიჯნურობაო.

„ყოველისმცოდნენი“ სწორედ ამ ფაქტით ხსნიდნენ (და დღესაც ხსნიან) მის ვითომ კავკასიურ გამომეტყველებასა და, რაც მთავარია, 1945 წელს დაბადებას.

რას ვიზამთ, ჭორები ხომ ყველა ტიტანის ვარსკვლავური კარიერის მარადიული თანამგზავრია.

არადა, კაიზერ ფრანცს ისედაც უამრავი სპორტული თუ პიროვნული მიღწევა და ღირსება გამოარჩევს, რომელმაც ფეხბურთის ქურუმის რეგალიით შეამკო.

დავიწყოთ იმით, რომ იგი, თუ არ ვცდები, ერთადერთია, ვის კოლექციასაც მსოფლიო ჩემპიონატებზე მოპოვებული სამივე სინჯის მედალი ამშვენებს. მართალია, 1974 წელს სამშობლოში მოხვეჭილ „ოქროს“ ვერაფერი შეედრება, მაგრამ გულშემატკივარი არანაკლები პატივით იხსენებს მექსიკაში გამართულ წინა მუნდიალზე ინგლისის წინააღმდეგ მხარმოტეხილი ფენომენის მხოლოდ მისთვის ჩვეული დაუოკებელი ჟინითა და ტექნიკურ-პლასტიკური მანერით თამაშს.

ევროპის ჩემპიონი და ორგზის საუკეთესო მოთამაშე ოლიმპზე ბუნდესნაკრების მწვრთნელის ამპლუაშიც ავიდა, რომელსაც ლეგენდარული მარადონას არგენტინასთან 1986 წელს „აცტეკაზე“ წაგებული ფინალის შემდეგ უკვე 1990 წელსვე იტალიაში უმაღლესი ტიტულის ტოლფასი რევანში ააღებინა.

აღარაფერს ვამბობთ მიუნხენის „ბაიერნში“ შექმნილ ეპოქაზე, რომლის აღზევებაც ჩემპიონთა თასისა (სამგზის) და უამრავი სხვა ჯილდოს დაუფლებით აღინიშნა.

თვით მაესტრო განსაკუთრებულად მადრიდის „ატლეტიკოსთან“ ბრიუსელში ლამის გამოტირებული მატჩის ხსნას მიიჩნევს, როცა შვარცენბეკმა 120-ე(!) წუთზე, ანუ დამატებითი დროის ბოლო წამებზე, ზღაპრული შორეული გასროლით გადაარჩინა პარტნიორები – 1:1, ხოლო ორი დღის შემდეგ დანიშნულ გადათამაშებაში, დემორალიზებული მეტოქე, უბრალოდ, ნოკაუტში გაგზავნეს – 4:0.

როგორც სამაგალითო პროფესიონალი, სახელოვან „კეისარსაც კეისრისას მიაგებს“ და არ ეთაკილება აღიაროს ოლეგ ბლოხინის დიდოსტატობა, რომლის კიევის „დინამომაც“ ბავარიელებს დაუვიწყარი გაკვეთილი ჩაუტარა, თუმცა, ამავე დროს, ტკბილად იგონებს ნიუ-იორკის „კოსმოსში“ პელესთან ერთად გატარებულ სეზონს, რომლის მაისურაც მწვანე მინდორზე დაფარული მარათონის ფინიშზე მოირგო.

მოკლედ, ასეთი იყო და ასეთად რჩება დღეს უკვე 75 წლის ყველაზე პოპულარული სახეობის რაინდი, რომელსაც უფალმა გენიალური იოჰან კრუიფის თანამედროვეობა, მიულერის, ბრაიტნერის, მაიერის, ოვერატის, ჰოლცენბაინის, გრაბოვსკის, ბონჰოფის, ჰიონესის, ფოგთსის თანაგუნდელობა-კაპიტნობა და ჰელმუტ შიონუდო ლატეკის ტაქტიკური იდეების ბრძოლის ველზე ხორცშესხმა დააბერტყა.

გია პლატონიშვილი

◎ ჭადრაკი

უპატრონო გვირგვინი

ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლების ისტორია საკმაოდ მდიდარია საინტერესო პერიპეტიებით, ერთობ უცნაური, ზოგჯერ კი, სულაც, სენსაციური, მანამდე გაუგონარი ამბებით.

მას შემდეგ ზუსტად 45 წელი გავიდა, რაც 1975 წლის 3 აპრილს, იმის გამო, რომ მანამდე საჭადრაკო ტახტის მფლობელმა, ამერიკელმა **რობერტ (ბობი) ფიშერმა**, უარი თქვა ტიტულის დაცვაზე, მსოფლიო ჩემპიონად საბჭოელი გროსმაისტერი **ანატოლი კარპოვი** გამოაცხადეს.

არადა, ამ შეხვედრას ჭადრაკის მოყვარულები დიდი ხნის განმავლობაში მოუთმენლად ელოდნენ, რის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიც იყო, რომ გენიოსი ამერიკელი მოჭადრაკე დიდად ექსცენტრული პიროვნება იყო და მისგან ნაკლებად გასაგები, ხშირად კი სრულიად გაუგებარი საქციელი მაინცდამაინც არავის უკვირდა. მაგალითად, მას შეეძლო მოეთხოვა რაღაც განსაკუთრებული სავარძელი, სცენის უჩვეულო განათება, რომლისაც გარკვეული სიკვეთრე უნდა ჰქონოდა, რომელიღაც ერთი ჯიშის ფორთოხლის წვენი, ანდა დარბაზში აბსოლუტური, წარმოუდგენლად სრული სიჩუმე.

თანაც იგი გამუდმებით ცვლიდა შეხვედრების თუ ტურნირების ორგანიზატორებისადმი თავის მოთხოვნებს. ამდენად, იმთავითვე ცნობილი იყო, რომ უდავოდ ნიჭიერი ანატოლი კარპოვისა და ბობი ფიშერის შეხვედრა მშვიდობიანად ვერაფრით ჩაივლიდა.

საბოლოოდ ანგარიშით კი, ფიშერმა საერთოდ უარი თქვა თამაშზე, უფრო სწორად კი არაფრად ჩააგდო ორთაბრძოლა ჭადრაკის მეფის ტიტულისთვის. თავისი პირველი სვლა პაიკით ანატოლი კარპოვმა ცარიელა დარბაზში გააკეთა, რის შემდეგ მსაჯებმა საათი გააჩერეს და იგი მსოფლიოს ახალ ჩემპიონად გამოაცხადეს. ამის გამო მთელი საჭადრაკო სამყარო დიდად გულდაწყვეტილი დარჩა, თუმცა კი საბჭოელი გროსმაისტერები კმაყოფილებას ვერ მალავდნენ. ა. კარპოვის მთავარმა თაყვანისმცემელმა – სსრ კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ბრეჟნევმა კი საკრამენტალური ფრაზა წარმოთქვა: „აიღე გვირგვინი?! ჰოდა, ხელი არ გაუშვა, მაგრად გეჭიროს!“

ოთარ ტურაგელიძე



578 ახალი შემთხვევიდან 416 აჭარაში გამოვლინდა

გუშინ დღე-ღამის განმავლობაში, საქართველოში დადასტურებული კოვიდინფიცირების 578 ახალი შემთხვევიდან 416 აჭარაში გამოვლინდა, - ამის შესახებ ინფექციური საავადმყოფოს ბოქსირებული განყოფილების ხელმძღვანელმა მარინა ენდელაძემ განაცხადა.

„რა ვქნათ, აჭარაში არის 416 ახალი შემთხვევა. ბევრია. თბილისში ცოტა იმატებს, 72 შემთხვევაა, იმერეთში 44, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 23, ქვემო ქართლში – 10, გურიაში – 8, სამცხე-ჯავახეთში – 3, კახეთში – 1, შიდა ქართლშიც 1 ახალი შეთხვევა“, – განაცხადა მარინა ენდელაძემ.

გუშინ 375 პაციენტი გამოჯანმრთელდა.

* * *

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებლის მალხაზ თორიას განცხადებით, რეგიონში გამოვლენილი კორონავირუსის ახალი შემთხვევებიდან შვიდი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მკვიდრია, მათგან სამი ე.წ. ოქროს ბირჟის კლასტერს განეკუთვნება, კიდევ სამი კი შპს „გორგიას“ სასაწყობე მეურნეობის დარაჯის კონტაქტია. მისივე ინფორმაციით, ინფიცირებულებს შორის ერთი ზესტაფონი-ზუგდიდის სამარშრუტო მიკროავტობუსის მძღოლია.

მალხაზ თორიას განმარტებით, კიდევ სამი ინფიცირებული ჩხოროწყუს მცხოვრებია.

ვირუსების საწინააღმდეგო ვაქცინა საქართველოში მომავალი კვირიდან იქნება

სეზონური გრიპის ვირუსების საწინააღმდეგოდ ჯანდაცვის სამინისტრო 250 ათას ერთეულ ვაქცინის შეძენას გეგმავს, – ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, სეზონური გრიპებთან დაკავშირებით ვაქცინის ნაწილი უკვე შეძენილია და დამატებები კიდევ მოხდება შეძენა.

ფეხბურთი - მაყურებლის გარეშე

ჩემი პირადი რეკომენდაცია არის, რომ თამაში უნდა ჩატარდეს მაყურებლის გარეშე, - განაცხადა საქართველოს დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ საქართველო-ბალარუსის მატჩთან დაკავშირებით, რომელიც 8 ოქტომბერს თბილისში, „დინამო არენაზე“ გაიმართება. მისი თქმით, უეფა-მ სტადიონის საერთო მაყურებლის 30 პროცენტის დასწრების ნებას იძლევა, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ქვეყნებს დაუტოვა.

დიზაინერი კორონავირუსით გარდაიცვალა

კენზო ტაკადა 2020 წლის 4 ოქტომბერს ნიოიესურ-სენ-ის (კომუნა საფრანგეთში) ამერიკულ კლინიკაში გარდაიცვალა COVID-19-ის შედეგად.

ლეგენდარული დიზაინერი 81 წლის იყო.

ტაკადა პარიზში იაპონიიდან 1965 წელს გადავიდა, 1970 წელს კი თავისი ბრენდი Kenzo დააფუძნა და პირველი ბუტიკი გახსნა.

ევროკომისიის პრეზიდენტი თვითიზოლაციაშია

ევროკომისიის პრეზიდენტის ურსულა ფონ დერ ლაიენი თქმით, მისი იზოლაციაში ყოფნა მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც ის დაესწრო ერთ-ერთ შეხვედრას, რომლის მონაწილესაც კორონავირუსი დაუდასტურდა. შეხვედრა გასულ სამშაბათს გაიმართა.

ევროკომისიის პრეზიდენტის განმარტებით, ის თვითიზოლაციაში ორი დღე იქნება. ევროკომისიის პრეზიდენტს განმეორებითი ტესტი გუშინ გაუკეთეს.

„იმუშავე საქართველოდან“

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პროექტის „იმუშავე საქართველოდან“ ფარგლებში 27 აგვისტოდან 4 ოქტომბრის ჩათვლით სხვადასხვა ქვეყნის 800-მდე მოქალაქე დარეგისტრირდა.

ადმინისტრაციის ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში, ქვეყანას – სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, მაღალმხარჯველუნარიანი ვიზიტორები სტუმრობენ, რომელთა შერჩევის ერთ-ერთი საკვალიფიკაციო კრიტერიუმი საშუალო ყოველთვიური მინიმალური შემოსავალი – 2,000 აშშ დოლარია.

„იმუშავე საქართველოდან“ პროექტის ფარგლებში საქართველოს უკვე ეწვია აშშ-ის, ავსტრალიის, დიდი ბრიტანეთის, რუსეთის, უკრაინის, ახალი ზელანდიის, კანადის 83 მოქალაქე. ვიზიტორები საქართველოში ხანგრძლივი პერიოდით დარჩებიან და დისტანციურად იმუშავებენ.

მიღებული აპლიკაციების კატეგორიების განაწილება შემდეგნაირია: 53% თვითდასაქმებული, 28% - სრულ განაკვეთზე დასაქმებული, ხოლო 19% - მეწარმე.

პროექტის ფარგლებში რეგისტრირებული აპლიკანტები მოქალაქეობის მიხედვით 60-ზე მეტ სხვადასხვა ქვეყანას წარმოადგენენ. ტოპ ხუთეულში შემდეგი ქვეყნის მოქალაქეები მოხვდნენ: რუსეთი – 28%; აშშ – 18%; ბელარუსი 6 %; დიდი ბრიტანეთი – 5%; უკრაინა – 5%.

მიღებული განცხადებებიდან უკვე დადასტურებულია 350-მდე დაინტერესებული პირის აპლიკაცია. არ დაკმაყოფილდა 80-მდე აპლიკაცია.

„იმუშავე საქართველოდან“ არის ინოვაციური პროექტი, რომელიც საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა კოვიდპანდემიის დროს, რომ მოხდეს ტურიზმის ინდუსტრიის სტიმულირება და წახალისება. ჩვენი მიზანია პროექტის ფარგლებში სტრატეგიული ქვეყნებიდან ძალიან უსაფრთხოდ მოვიზიდოთ კიდევ უფრო მხარჯველუნარიანი ტურისტები, რომლებიც შედარებით გრძელი ვადით იცხოვრებენ ჩვენს ქვეყანაში და დისტანციურად იმუშავებენ საქართველოდან. ძალიან მოკლე პერიოდში, დაახლოებით 1 თვეში 60-მდე ქვეყნის 800-მდე უცხო ქვეყნის მოქალაქის განაცხადი გვაქვს მიღებული, რომელიც საქართველოში ჩამოსვლის და დისტანციურად მუშაობის სურვილს გამოხატავს.

მევახშეობა აიკრძალა, მაგრამ... მევახშეები ისევ გვატყავებენ!!!

„კრისტალი“ და „რიკო კრედიტი“ მამუკა ხაზარაძის ინიციატივაზე

„ჩვენ საკმაოდ სერიოზულად ვაპირებთ საბანკო და საფინანსო სექტორის რესტრუქტურიზაციას. მინდა, მოსახლეობას განვუმარტო, სიტყვა მევახშე რას ნიშნავს. სიტყვა მევახშე ქართული განმარტებითი ლექსიკონით ნიშნავს კერძო პირს, რომელიც მეორე პირს ასესხებს თანხას და ამით ნახულობს სარგებელს. ამიტომ, მე გამოვდივარ ინიციატივით, რომ საქართველოში მსგავსი საქმიანობა, რომელიც არალეგალურია, იქნას კანონით დასჯადი და აკრძალული“, – ამის შესახებ „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერმა და ყოფილმა ბანკირმა მამუკა ხაზარაძემ განაცხადა.

საქართველოში მევახშეობის აკრძალვასა და კანონით მის დასჯასთან დაკავშირებით, მოსაზრება „კომერსანტმა“ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს სთხოვა.

„კრისტალის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ არჩილ ბაკურაძემ „კომერსანტთან“ საუბრისას განაცხადა, რომ მევახშეობა ეროვნული ბანკის მიერ უკვე წლებია აკრძალური და დასჯადია, ამიტომ ეს მხოლოდ პოლიტიკოსების მხრიდან არჩევნების წინ „ეფექტური სახელწოდებების გაჟღერებას ჰგავს“.

„ბოლო წლების რეფორმები, რომელიც ფინანსურ ბაზარზე გატარდა, დიდწილად მევახშეობის აკრძალვას ემსახურებოდა და ის, რაც დღემდე გაკეთდა, საკმაოდ ეფექტურიც იყო. 20 ადამიანზე მეტისთვის გასესხების შემთხვევაში, სუბიექტი ვალდებულია დარეგისტრირდეს სესხის გამცემად და დღეს უკვე ნახევარ მილიარდზე მეტია ასეთი პორტფელი. ფაქტობრივად, ეროვნულმა ბანკმა ჩრდილიდან გამოიყვანა ეს გარიგებები და შედეგიც ნათელია. მომხმარებელთა უფლებების დაცვის ჩარჩო მასაც ეხება და საგრძნობლად შემცირდა არაფორმალური საკრედიტო ურთიერთობები, რომელიც აქამდე არსებობდა. ამიტომ ეს უკვე აკრძალული და დასჯადია, ვინც ამას დაარღვევს, კანონთან მოდის წინააღმდეგობაში და არღვევს მას, ამიტომ ეს უკვე მევახშეობის აკრძალვის საფუძველია. აქედან გამომდინარე, ძალიან ბევრი ნაბიჯი გადაიდგა მის აღმოსაფრხველად, თუმცა ბაზარზე დარჩა მათი რაღაც ნაწილი, რომელიც ყველა ქვეყნის ეკონომიკაში არის და რომელიც იმდენად მცირეა, რომ სახელმწიფო ვერ გააკონტროლებს. არც იმას გამოვრიცხავ რომ მევახშეობის პრაქტიკა დღეს ისევ არსებობს, მაგრამ ეს არის პროცესი რომელიც ერთი მხრივ ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლას და მეორე მხრივ მომხმარებელთა ფინანსური განათლების ამაღლებას გულისხმობს, თუ ეს ორივე პირობა მაქსიმალურად მაღალ დონეზე შესრულდება, მევახშეობა მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. პოლიტიკოსებს ასეთი ეფექტური სახელწოდებების გაჟღერება უყვართ, თორემ რეალურად ეს უკვე წლებია კეთდება და აქ ახალი არაფერია“, – განმარტავს არჩილ ბაკურაძემ.

„რიკო კრედიტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ლაშა ნიკოლაიშვილი იზიარებს არჩილ ბაკურაძის მოსაზრებას და თვლის, რომ ვერ აკრძალავ იმას, რაც ისედაც აკრძალული და დასჯადია. მისი თქმით, ეროვნულმა ბანკმა ამ კუთხით ყველაზე მთავარი რაც გააკეთა, ონლაინ სესხების აკრძალვა იყო.

„ეროვნულმა ბანკმა ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთი ნაბიჯი გადადგა, მათი ქმედებები ქვეყანაში საკმაოდ შეზღუდულია. კერძო მევახშეებისგან ბევრი უბედურება ახსოვს ქვეყანას, რადგან ის პირობები, რომელიც მათ ჰქონდა, წლიური 60-80%-იანი სესხები და ა.შ. ძალიან ცუდი იყო. ყველაზე „მევახშური თემა“, რაც ქვეყანაში იყო და კობა გვენეტაძის ხელმძღვანელობის დროს აიკრძალა, ეს არის ონლაინ სესხები. ეროვნული ბანკი იყო იმ კანონის ინიციატორი, როდესაც ყველაზე მახინჯი კერძო მევახშეობის ფორმა, რომელიც ქვეყანაში იყო და 800-900%-იან სესხებს გულისხმობდა, აიკრძალა. ამიტომ ფაქტიურად მევახშეობა ქვეყანაში აკრძალულია და ამ ინსტიტუტმა ბუნებრივადაც დაიწყო ჩამოშლა, რადგან სესხებს იმ პროცენტში უკვე ვეღარ გასცემენ, რაც მათთვის მომგებიანია. აქედან გამომდინარე, ვერ აკრძალავ იმას, რაც ისედაც აკრძალული და დასჯადია. ზოგადად კი რაც შეეხება ჩემს აზრს, თუ ეს სექტორი ქვეყნაში საერთოდ არ იარსებებს, ძალიან კარგი იქნება“, – განაცხადა ლაშა ნიკოლაიშვილმა.

გილოცავთ!

დიდი მერაბ გერძენიშვილის მუზას, მშვენიერ ქალბატონს

კირა მიქელაძეს

ვულოცავთ დაბადების 90 წლისთავს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დაუჭკნობელ მშვენიერებას და დიდხანს კვლავაც შინაარსიან სიცოცხლეს.

საქართველოს კულტურის ფონდი



3 ოქტომბერს 75 წელი შეუსრულდა XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენს, 3-გზის ოლიმპიურ ჩემპიონს მძლეოსნობაში (სამმხტომი) – ჩვენს თანამემამულეს

ვიქტორ სანეევს

ვიქტორი ამჟამად ცხოვრობს ავსტრალიაში, მაგრამ რჩება საქართველოს პატრიოტად და გულშემატკივრად.

ვეტერანი მოფარიკავეების სახელით:
ოლიმპიელები და მსოფლიო ჩემპიონები
გურამ კოსტავა, იური ოსიპოვი

ლეგენდარული ლისა სიმონე და „ალილო“

სოულისა და ჯაზის ამერიკელმა ვარსკვლავმა ლისა სიმონემ კახეთში „ალილოსთან“ ერთად იმღერა.

წინანდლის მამული ფესტივალს, Jazz & Wine Kakheti-ს მასპინძლობს. ფესტივალის მთავარი სტუმარი სწორედ სოულისა და ჯაზის ამერიკელი ვარსკვლავი ლისა სიმონეა.

მთელი დღის განმავლობაში წინანდლის ამფითეატრის სცენაზე ასევე წარდგნენ ბექა გოჩიაშვილის ტრიო, რუსა მანველი და დავით მაზანაშვილის ბენდი. ფესტივალზე ქართული ღვინის მწარმოებელმა 20-მდე კომპანიამ ღვინის დეგუსტაცია გამართა.

რაპანა საზღვაო სივრცეში

გარემოს ეროვნული სააგენტო, პირველად საქართველოს საზღვაო სივრცეში, შავი ზღვის რაპანას მასშტაბურ კვლევას იწყებს, – ინფორმაციას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

„რეგიონის ზღვისპირა ქვეყნებს აღნიშნული პროდუქტის ექსპორტის დიდი პოტენციალი აქვს. რაპანა მოთხოვნადი პროდუქტია და მისი რეალიზაცია მსოფლიო მასშტაბით ხორციელდება. რაპანას კვლევა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება რეგიონში რესურსის რაციონალური მენეჯმენტისთვის, რომლის საფუძველზე დადგინდება ინფორმაცია შავი ზღვის რაპანას პოპულაციის, მათი გავრცელების, რიცხოვნობის, ზომისა და ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ“ – აცხადებენ სამინისტროში.

რაპანა (Rapana venosa) შავ ზღვაში გასული საუკუნის 40-იან წლებში გავრცელდა და დიდი რაოდენობით გამრავლდა.

ექსპედიცია, რომელშიც გარემოს ეროვნული საგენტოს სპეციალისტები მიიღებენ მონაწილეობას, შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს გონიო-ანაკლიის აკვატორიაში განხორციელდება და ნიმუშებს წინასწარ შერჩეულ 20 სადგურზე აიღებენ.

მაღალანაზღაურებადი მსახიობი ქალები

გამოცემა Forbes-მა მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობი ქალების რეიტინგი გამოაქვეყნა. ათეულში 8 სერიალის მსახიობია.

პირველ ადგილზეა სოფია ვერგარა, რომლის წლიური შემოსავალიც $43 მილიონია. მეორეა ანჯელინა ჯოლი. მისი წლიური შემოსავალი $35,5 მილიონია. მესამეა გალ გადოტი $31,5 მილიონის შემოსავლით. შემდეგია მელისამა კარტი და მერილ სტრიპი $25 და $24-მილიონიანი შემოსავლით.

საგულისხმოა, რომ Forbes სიაში წარმოდგენილი ათეულის წევრებმა ჯამში 12 თვეში $254 მილიონი გამოიმუშავეს. ეს მონაცემი 2019 წლის მაჩვენებელზე 20%-ით ნაკლებია. 2019 წლის რეიტინგის თანახმად, ათეულში მყოფმა მსახიობებმა $545,5 მილიონი გამოიმუშავეს.

დასავლეთ საქართველოში ტემპერატურა მოიმატებს



6-8 ოქტომბერს დასავლეთ საქართველოში დათბება და უმეტესად უნალექო ამინდი იქნება. ზოგან იქროლებს აღმოსავლეთის მიმართულების ძლიერი ქარი. ჰაერის ტემპერატურა +25, +30 გრადუსამდე მოიმატებს.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მცირე ნალექი და ნისლი. მაღალმთიან ზონაში ღამის საათებში შესაძლოა თოვლჭყაპი აღინიშნოს. ჰაერის ტემპერატურა ბარში +15, +20 გრადუსის ფარგლებში იქნება, ხოლო 8 ოქტომბერს უმეტესად უნალექო ამინდია მოსალოდნელი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 8 ოქტომბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.1975; ევრო - 3.7475;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1299;
100 რუბლი - 4.0725; თურქული ლირა - 0.4131;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8822;
1000 სომხური დრამი - 6.5478.

ამინდი 6 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+19
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+17
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+12,	დღე	+28
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+24
თბილისი:	ღამე	+13,	დღე	+19

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge